186
1973

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 4

ივლისი — აგვისტო

1978 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 4 ივლისი—აგვისტო 1973 წ

შინაარსი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

58. რესპუბლიკის სასწავლებლებში რუსული ენის სწავლების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.
59. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 28 ივნისის № 457 დადგენილების ნაწილობრივ ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.
60. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 17 მაისის № 277 დადგენილების მე-19 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

61. 1973 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის საქართველოს მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის მუშაკთა სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის 23 იანვრის № 49 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლიკა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

62. მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების დებულების დამტკიცების შესახებ.
63. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 6 ივლისის № 446 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.
64. რესპუბლიკის ზოგიერთი საპროექტო ორგანიზაციის გამოხვილების შესახებ.
65. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ვლადიმერ ყაფლანის ძე ჟღენტის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ.
66. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის № 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ.
67. სამსახურებრივი მსუბუქი ავტომობილების გამოყენების მოწესრიგებისა და მათი შენახვის ხარჯების შემცირების ღონისძიებათა შესახებ.
68. სოფლის მეურნეობაში დამხმარე საწარმოებისა და სარეწების საქმიანობის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ.
69. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 13 აპრილის № 252 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.
70. გაწეული მომსახურებისათვის მოსახლეობასთან ანგარიშსწორების ბილეთების, ტალონებისა და სხვა ნიშნის დამზადების, აღრიცხვისა და შენახვის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ.
71. ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე განლაგებული სამინისტროების, უწყებების, წარმოებადაწესებულებების, ორგანიზაციების, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მუშაობის დაწყების დროის შესახებ.
72. გადასახლება-დასახლების შეღავათების შესახებ.
73. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ.
74. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი საკითხები.

მუნიციპალური ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

58 რესპუბლიკის სასწავლებლებში რუსული ენის სწავლების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ რუსული ენის — დიდი ოქტომბრის რევოლუციის ენის, ლენინის ენის — დაუფლება ქართველი ხალხის, ისევე როგორც ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ყველა ხალხის, საარსებო მოთხოვნილება გახდა. რუსული ენა, რომელიც სსრ კავშირის ყველა ერმა და ეროვნებამ ნებაყოფლობით აირჩია ერთაშორის ურთიერთობის ენად, გახდა საბჭოთა ხალხების კავშირურთიერთობისა და შეკავშირების მძლავრი იარაღი, მათი ისტორიული ერთობისა და დაახლოების ერთ-ერთი პირობა, საბჭოური და მსოფლიო კულტურის საუკეთესო მიღწევების ზიარების, მშრომელთა იდეურ-პოლიტიკური და ინტერნაციონალური აღზრდის მძლავრი საშუალება.

ერთაშორის კავშირურთიერთობისა და თანამშრომლობის განუხრელი ზრდა, სოციალისტურ ერთა და ეროვნებათა კულტურების მუდმივი დაახლოება და ურთიერთგამდიდრება, რაც სოციალიზმის განვითარების ობიექტური კანონზომიერება გახდა, ადიდებენ რუსული ენის მნიშვნელობას, რომელიც მსოფლიოს ერთ-ერთი საყოველთაოდ აღიარებული, უმდიდრესი ენაა.

რუსული ენის ცოდნა გახდა მნიშვნელოვანი ფაქტორი, რამაც განაპირობა ყოველმხრივ განვითარებული პიროვნების, კომუნისტური საზოგადოების აქტიური მშენებლის, გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის — ამ ყველაზე ცხოველუნარიანი და სრულყოფილი ფორმის მრავალეროვნული სახელმწიფოს მოქალაქის ჩამოყალიბება, სახელმწიფოსი, რომელშიც ჰარმონიულად არის შეხამებული მთელი საზოგადოების ინტერესები თითოეული ერისა და ეროვნების ინტერესებთან.

რუსული ენის სწავლების ძირეული გაუმჯობესება ეროვნული ეკონომიკისა და კულტურის აყვავების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა, დიდი პარტიული და სახელმწიფოებრივი, საყოველთაო-სახალხო მნიშვნელობის საქმეა. რუსული ენის ცოდნის აუცილებლობის ყოველგვარი შეუფასებლობა, რომლის ფესვები ეროვნული განკერძოებულობის ანტიხალხურ თეორიაშია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერიოზულ ზიანს აყენებს თითოეული ერისა და ეროვნების ეკონომიურ და კულტურულ განვითარებას, იწვევს ეროვნულ შეზღუდულობასა და ჩამორჩენილობას, წარმოადგენს პოლიტიკური სიბეცის გამოვლინებას, რაც შეუთავსებელია კომუნისტურ მსოფლმხედველობასთან და მორალთან, საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის მაღალ ცნებებთან.

რუსული ენის მზარდი მნიშვნელობა სულაც არ აკნინებს სხვა ეროვნული ენების როლს, რომელთა ყოველნაირი განვითარება საბჭოთა ინტერნაციონალიზმის, ერთიანი საბჭოთა კულტურის ინტერნაციონალიზმის ერთ-ერთი მთავარი თავისებურებაა. მშობლიური და რუსული ენების შესწავლისა და სწავლების ინტერესები არ ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს, არამედ, პირიქით, ორგანულად ავსებენ ერთმანეთს.

უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკაში განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებანი, რომლებიც მიზნად ისახავენ რუსული ენის სწავლების გაუმჯობესებას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებში. სკოლების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების, ტექნიკუმებისა და უმაღლესი სასწავლებლების ბევრი კურსდამთავრებული თავისუფლად ფლობს რუსულ ზეპირ და სამწერლობო ენას.

ამასთანავე რესპუბლიკის მოსახლეობაში რუსული ენის ცოდნის დონე კვლავ დაბალია. 1970 წლის სრულიად საკავშირო აღწერის მონაცემებით, რესპუბლიკაში მცხოვრები 3.130.743 ქართველიდან რუსულ ენას თავისუფლად ფლობს 641.601 კაცი, ე. ი. მთელი ქართველი მოსახლეობის მხოლოდ 20,5 პროცენტი.

შეშფოთება ამ მდგომარეობის გამო არა ერთხელ გამოუთქვამთ მეცნიერებს, სპეციალისტ-პედაგოგებს თათბირებზე, აქტივებზე, პლენუმებზე, გაზეთების „კომუნისტის", „ზარია ვოსტოკაა" და „ახალგაზრდა კომუნისტის" ფურცლებზე, მაგრამ ქმედითი ღონისძიებანი რესპუბლიკის სასწავლებლებში რუსული ენის სწავლების მკვეთრი გაუმჯობესებისათვის არ განხორციელებულა.

რუსული ენის სუსტი ცოდნის მთავარი მიზეზია რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლების არადამაკმაყოფილებელი დაყენება რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, განსაკუთრებით სოფლის სკოლებში. რუსული ენის ცოდნის ხარისხი და მოცულობა, არარუსული სკოლების მოსწავლეთა დიდი უმრავლესობის ცოდნა და ჩვევები სასაუბრო ენაში არ შეესაბამება პროგრამის ელემენტარულ მოთხოვნებს. მოსწავლეები სუსტად არიან დაუფლებული კითხვას, თარგმნას, მეტყველებას, სწორად ვერ ადგენენ წინადადებას, არ შეუძლიათ ისაუბრონ მათთვის ნაცნობ მოვლენებზე: ღარიბია მათი აქტიური სიტყვიერი მარაგი. მოსწავლეებს ჯერ კიდევ უჭირთ წერა.

აღნიშნული ნაკლოვანებანი, ძირითადად იმით აიხსნება, რომ დაბალია მასწავლებელთა გარკვეული ნაწილის პროფესიული მომზადებისა და ზოგად-

მუნიციპალური ბიბლიოთეკა

პედაგოგიური კულტურის დონე, სრულყოფილი არ არის სასწავლო გეგმები პროგრამები და სახელმძღვანელოები, დღემდე შემორჩენილია ფორმალურ-გრამატიკული სწავლება ენის პრაქტიკული დაუფლების საზიანოდ, ჯეროვანი მეცნიერული და მეთოდიკური დახმარება არ ეწევათ სკოლებს, რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების მუშაობას სათანადო სასწავლო-მეთოდიკურ ხელმძღვანელობასა და კონტროლს არ უწევენ სკოლების დირექტორები და მათი მოადგილენი სასწავლო ნაწილში, სახალხო განათლების განყოფილებანი, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, არ არსებობს საჭირო სასწავლო-მატერიალური ბაზა.

რუსული ენის სწავლებაში ანალოგიური ნაკლოვანებანია აგრეთვე პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებში.

სერიოზული ნაკლოვანებანია რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა მომზადების საქმეში. უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულთა თეორიული და პროფესიული ცოდნის დონე ხშირად არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს. ეს ნაკლი განსაკუთრებით ემჩნევათ უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლების საღამოსა და დაუსწრებელ განყოფილებათა კურსდამთავრებულებს.

არადამაკმაყოფილებელია მუშაობა ზოგადი წიგნიერების დონის ამაღლებისა და რუსული ენის შესწავლისათვის წვევამდელი და გასაწვევი ასაკის ახალგაზრდობაში.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი, საქართველოს კპ რაიონული, საქალაქო და საოლქო კომიტეტები არ იღებენ გადამწყვეტ ზომებს სკოლებში, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, ტექნიკუმებსა და უმაღლეს სასწავლებლებში რუსული ენის სწავლების დაყენების ძირეული გაუმჯობესებისათვის, ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ პედაგოგიური კადრების შერჩევასა და განაწილებას, მათი იდეურ-თეორიული და პროფესიული ცოდნის დონის ამაღლებას, რუსული ენისა და ლიტერატურის მაღალკვალიფიციურ მასწავლებელთა მომზადებას საშუალო და უმაღლესი სასწავლებლებისათვის.

რესპუბლიკის სასწავლებლებში რუსული ენის სწავლების გადაჭრით გაუმჯობესების მიზნით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს:

ა) გადასინჯოს ქართული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო გეგმები, რათა გადიდდეს რუსული ენის შესწავლისათვის განკუთვნილი სასწავლო საათები;

ბ) 1973/74 სასწავლო წლიდან შემოიღოს რუსული ენის სწავლება ქართულ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში პირველი კლასიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სომხურ, აზერბაიჯანულ, აფხაზურ და ოსურ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში რუსული ენა ისწავლება პირველი კლასიდან;

გ) გააძლიეროს სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეების, პედაგოგიური კაბინეტების ხელმძღვანელების, სკოლების დირექტორებისა და სასწავლო ნაწილში მათი მოადგილეების, რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების პირადი პასუხისმგებლობა სწავლების დაყენების მდგომარეობისათვის; მათი მუშაობა ამ მიმართულებით შეაფასოს არა მარტო აკადემიური წარმატების პროცენტული მაჩვენებლებით, არამედ რუსულ ენაში მოსწავლეთა ცოდნისა და ჩვევების ფაქტიური დონის მიხედვითაც;

დ) აღმოფხვრას ენის ფორმალურ-გრამატიკული სწავლების პრაქტიკა, ლიბერალიზმი მოსწავლეთა ცოდნის შეფასებაში; მიაღწიოს იმას, რომ მასწავლებლები პედაგოგიურ პროცესს წარმართავდნენ სწავლების ეფექტიანი მეთოდების შემოქმედებითად გამოყენების საფუძველზე, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა აზროვნების განვითარებას, ფართოდ იყენებდნენ თვალსაჩინოებასა და სწავლების თანამედროვე ტექნიკურ საშუალებებს, ამასთან განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ აქტიური მეტყველების პრაქტიკას, ლექსიკონით მუშაობას, ენაში ვარჯიშს, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიერ ზეპირი და სამწერლობო ენის პრაქტიკულ დაუფლებას;

ყოველი ღონისძიებით გააქტიუროს გაკვეთილგარეშე მუშაობა რუსულ ენაში, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს კლასგარეშე კითხვას, მოსწავლეთა წრეების მუშაობას, ლიტერატურული დილების, მკითხველთა კონფერენციების ჩატარებას, კედლის გაზეთების გამოშვებას რუსულ ენაზე და სხვ.;

ე) 1973 წლის განმავლობაში მოაწყოს რუსული ენისა და ლიტერატურის პროგრამებისა და სახელმძღვანელოების ფართო განხილვა, ამასთან ყურადღება გაამახვილოს იმაზე, თუ როგორია მათი პრაქტიკული მიზანმიმართულება, შეესაბამებიან თუ არა თანამედროვე მეცნიერულ-თეორიულ და პედაგოგიურ-მეთოდიკურ მოთხოვნებს;

უზრუნველყოს რუსული ენისა და ლიტერატურის ახალი, უფრო სრულყოფილი ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოების შედგენა ქართული სკოლებისათვის;

მოაწყოს 1974—1976 წლებში ღია კონკურსები სახელმძღვანელოების შესადგენად, ამასთან წინასწარ დაადგინოს მათი ზუსტი მოცულობა; პრაქტიკაში შემოიღოს პარალელური სასინჯი სახელმძღვანელოების გამოცემა;

ვ) პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მთელი მუშაობა ქართულ სკოლაში რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის დარგში წარმართოს სწავლების თეორიისა და პრაქტიკის აქტუალური პრობლემების დასამუშავებლად, მოსწავლეთა შემეცნებითი აქტივობის, სწავლების ინტენსიფიკაციისა და ეფექტიანობის ასამაღლებლად დიდაქტიკის, ფსიქოლოგიის, ლინგვისტიკის უახლეს მიღწევათა გამოყენების და რუსული და ქართული ენების შედარებითი მონაცემების გათვალისწინების საფუძველზე, რუსული ენისა და ლიტერატურის მოწინავე მასწავლებელთა გამოცდი-

ლების, უცხოელთათვის რუსული ენის სწავლების, აგრეთვე უცხო ენებისა და ქართული სწავლების გამოცდილების შესწავლისა და განზოგადებისათვის.

განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს მოქმედი ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოების ლექსიკურ-გრამატიკულ ანალიზს, ლექსიკური მარაგისა და გრამატიკული ცოდნის მინიმუმის დაწესებას კლასებისა და კლასთა ჯგუფებისათვის, პროგრამებისა და სახელმძღვანელოების შედგენის პრინციპების შემუშავებას;

1974-1980 წლების განმავლობაში შექმნას საკარნახო მასალის, შინაარსის, ლექსიკური სავარჯიშოების, მორფოლოგიისა და სინტაქსის სავარჯიშოებისკრებულები, უზრუნველყოს სასწავლო თვალსაჩინოებათა, ორთოგრაფიული განმარტებითი, თემატიკური, ფრაზეოლოგიური, რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ლექსიკონების გამოცემა ქართული სკოლებისათვის; 1976 წლისათვის მოამზადოს ქართულ სკოლაში რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის სრული კურსი; 1973 წლის ბოლომდე შეადგინოს მასწავლებელთა თვითგანათლების პროგრამები და მეთოდიკური რეკომენდაციები, რომლებშიც გაითვალისწინოს სწავლების მეთოდიკის, შინაარსისა და ფორმის განყოფილებანი; შეიმუშაოს მეთოდიკური წერილები რუსული ენის მასწავლებელთა სასკოლო მეთოდიკური კომისიების მუშაობის, კლასგარეშე კითხვის, საწრეო მუშაობის შესახებ და სხვ.;

სისტემატურად შეისწავლოს და განაზოგადოს ქართულ სკოლაში ახალი პროგრამებისა და სახელმძღვანელოების მიხედვით რუსული ენის სწავლების გამოცდილება, მიიღოს ზომები მოწინავე გამოცდილების გავრცელებისათვის მეცნიერულ-მეთოდიკური კონფერენციების მოწყობის, მეთოდიკური წერილების, რეკომენდაციების გამოცემის გზით; უკეთ გამოიყენოს ამ ამოცანების განსახორციელებლად ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ რუსული დანართი — „რუსული ენა ქართულ სკოლაში“.

ჩააბას ამ მუშაობაში უმაღლეს სასწავლებელთა შესაბამისი კათედრები, სხვა სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაკები და მოწინავე პრაქტიკოსი მასწავლებლები;

ზ) მიიღოს ქმედითი ზომები რვაწლიან და საშუალო სკოლებში რუსული ენის კაბინეტების შესაქმნელად, მათს უზრუნველსაყოფად სასწავლო-თვალსაჩინო ხელსაწყოებითა და თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით, მათი გამოყენების შესაბამისი მეთოდიკური რეკომენდაციებით.

თ) განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს პედაგოგთა კვალიფიციური კადრებით სკოლების დაკომპლექტების საკითხს, არ დაუშვას რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებად იმ პირთა დანიშვნა, რომლებსაც არა აქვთ შესაბამისი განათლების ცენზი; გადააყენოს სამუშაოდან არასპეციალისტები, რომლებიც სუსტად ფლობენ რუსულ ენას; რუსული ენისა და ლიტერატურის პედაგოგთა, აგრეთვე დაწყებით სკოლებში რუსული ენის მასწავლებელთა ატესტაციისას განსაკუთრებით გულმოდგინედ შეამოწმოს მათ მიერ ენის ცოდნა და მეთოდიკური მომზადების დონე;

მიიღოს გადამჭრელი ზომები მასწავლებელთა პროფესიული მომზადების სრულყოფისა და ზოგადი პედაგოგიური კულტურის ამაღლებისათვის, მიაღწიოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითოეული პედაგოგის კვალიფიკაციის, პედაგოგიური ოსტატობის განუხრელ ზრდასა და შემოქმედებითი ინიციატივის განვითარებას;

უახლოესი 5 წლის განმავლობაში უზრუნველყოს საღამოსა და დაუსწრებელ სწავლებაში რუსული ენისა და ლიტერატურის იმ მასწავლებელთა ჩაბმა, რომელთაც არა აქვთ სპეციალური უმაღლესი განათლება;

ი) 1973/74 სასწავლო წლის დამდეგისათვის განამტკიცოს სახალხო განათლების საქალაქო და რაიონული განყოფილებანი და პედაგოგიური კაბინეტები რუსული ენისა და ლიტერატურის კვალიფიციური სპეციალისტებით;

მკაცრად მოსთხოვოს სახალხო განათლების განყოფილებებსა და პედაგოგიურ კაბინეტებს, სკოლების დირექტორებსა და მათს მოადგილეებს სასწავლო ნაწილში გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა საქალაქო და რაიონული მეთოდიკური გაერთიანებებისა და სასკოლო მეთოდიკური კომისიების მუშაობისადმი;

კ) საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან და საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან ერთად ერთი თვის ვადაში განიხილოს საკითხი იმის შესახებ, რომ რუსული ენისა და ლიტერატურის ნაკლებად მომზადებულ მასწავლებელთა და არარუსული სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის მუშაობა თავმოყრილ იქნეს თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმისა და ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტებში, აგრეთვე ამ მასწავლებელთა გადამზადების ვადა გაგრძელდეს 4 თვემდე სამუშაოს მოწყვეტით;

ლ) მიმდინარე წლის 1 სექტემბრამდე გადაამუშაოს მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების სასწავლო გეგმები და პროგრამები თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს მათ პრაქტიკულ მიზანმიმართულებას, მასწავლებელთა მიერ ენის ცოდნისა და პედაგოგიური ოსტატობის დონის ამაღლებას.

2. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ:

ა) 1973 წლის 1 სექტემბრისათვის გადასინჯოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების სასწავლო გეგმები იმ მხრივ, რომ რაც შეიძლება მაქსიმალურად გადიდდეს რუსული ენის შესასწავლად განკუთვნილი სასწავლო საათები და ამ ენის სწავლება თავმოყრილ იქნეს 1, 5-2 სასწავლო წლის განმავლობაში; სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის 1964 წლის 19 მაისის № 164 ბრძანების შესაბამისად მოსწავლეებსა და სტუდენტებს, რომლებიც სუსტად ფლობენ რუსულ ენას, ნაცვლად უცხო ენისა ასწავლონ რუსული;

ბ) 1973 წლის ბოლომდე გადასინჯოს არასპეციალური ფაკულტეტების რუსული ენის პროგრამები და სახელმძღვანელოები, ამასთან ყურადღება დაუთმოს მათს პრაქტიკულ მიზანმიმართულებას, თანამედროვე მეცნიერულ-თეორიული და პედაგოგიურ-მეთოდიკური მოთხოვნებისადმი შესაბამისობას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

1974-1976 წლებში უზრუნველყოს ახალი, უფრო სრულყოფილი ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოების შედგენა;

გ) რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან ერთად ერთი თვის ვადაში:

— განიხილოს საკითხი, რომ რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა მომზადება თავმოყრილ იქნეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში, სოხუმის ა. მ. გორკის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტსა და ცხინვალის კ. ხეთაგუროვის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში;

— გადაჭრას საკითხი იმის შესახებ, რომ რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა დაუსწრებელი მომზადება ხორციელდებოდეს თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში;

— განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხი იმის შესახებ, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის მოსამზადებელ განყოფილებებთან შეიქმნას სპეციალური ჯგუფები ქართული სკოლების კურსდამთავრებული სოფლის ახალგაზრდობისათვის იმ მიზნით, რომ მოამზადონ რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები და ქართული სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებლები;

დ) დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდიკის ფაკულტეტის ქართულ განყოფილებაზე შემსვლელ აბითურიენტთათვის პრაქტიკაში შემოიღოს გასაუბრება რუსულ ენაში;

ე) სრულყოს რუსული ენისა და ლიტერატურის, აგრეთვე დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდიკის ფაკულტეტების სასწავლო გეგმები და პროგრამები, რათა ამაღლდეს სტუდენტთა მეცნიერულ-თეორიული ცოდნა და პრაქტიკული მომზადება მომავალი პედაგოგიური საქმიანობისათვის; განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს რუსული ენის ცოდნის გაღრმავებას დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდიკის ფაკულტეტების ქართული განყოფილებების სტუდენტთა შორის; მიიღოს ზომები ქართულ სკოლებში რუსული ენისა და ლიტერატურის მომავალ მასწავლებელთათვის ქართული ენის ცოდნის დონის ასამაღლებლად;

ვ) 1973-1974 სასწავლო წლიდან, იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტებს ამთავრებენ, სპეციალურ საგნებში სახელმწიფო გამოცდებთან ერთად შემოიღოს რუსულ ენასა და ლიტერატურაში და მისი სწავლების მეთოდიკაში სადიპლომო ნაშრომების სავალდებულო შესრულება და დაცვა;

ზ) მიიღოს გადამჭრელი ზომები უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლების ხარისხისათვის პროფესორ მასწავლებელთა შემადგენლობის პირადი პასუხისმგებლობის ასამაღლებლად; აღკვეთოს ცოდნის შეფასებაში ლიბერალიზმის მანკიერი პრაქტიკა;

თ) უზრუნველყოს ახალგაზრდა სპეციალისტთა განაწილებისა და დანიშნულების ადგილზე ჩასვლის გეგმების განუხრელი შესრულება, მუდმივი კავშირი იქონიოს უმაღლეს სასწავლებელთა კურსდამთავრებულებთან;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი) დაავალოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსული ენისა და ლიტერატურის კათედრებს გაითვალისწინონ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა გეგმებში უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლების აქტუალური პრობლემების დამუშავება;

კ) შეიმუშაოს ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოების, ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ლექსიკონებისა და სასაუბროების, რუსული ენის თვითმასწავლებლების შედგენის კონკრეტული გეგმა და სხვ.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა:

ა) 1973 წლის განმავლობაში მოაწყოს რუსული ენის პროგრამებისა და სახელმძღვანელოების განხილვა, ამასთან ყურადღება გაამახვილოს მათს პრაქტიკულ მიზანმიმართულებაზე, თანამედროვე მეცნიერულ-თეორიული და პედაგოგიურ-მეთოდიკური მოთხოვნების შესაბამისად;

1973-1974 წლებში შეიმუშაოს და განახორციელოს ღონისძიებანი პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისათვის რუსული ენის ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოების შესადგენად, დააწესოს მათი ზუსტი მოცულობა და თემატიკური მიზანმიმართულება, ახალგაზრდობის პროფესიული მომზადების სპეციფიკის გათვალისწინებით;

ბ) ყოველი ღონისძიებით გააქტიუროს გაკვეთილგარეშე მუშაობა რუსულ ენაში ყველა ტიპის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში; განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს კლასგარეშე კითხვას, საწრეო მუშაობას, ლიტერატურული საღამოების მოწყობას, კედლის გაზეთების გამოშვებას რუსულ ენაზე და სხვ.

გ) აამაღლოს პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების დირექტორთა, მათ მოადგილეთა და რუსული ენის მასწავლებელთა პირადი პასუხისმგებლობა სწავლების დაყენების მდგომარეობისათვის; მათი მთავარი ყურადღება დაუთმოს აქტიური მეტყველების პრაქტიკის, ლექსიკონით მუშაობის, ენაში ვარჯიშის გაძლიერებას, რაც უზრუნველოფს მოსწავლეთა მიერ ზეპირი და სამწერლობო ენის პრაქტიკულ დაუფლებას;

დ) ფართოდ დანერგოს პრაქტიკაში რუსული ენისა და ლიტერატურის საუკეთესო მასწავლებელთა გამოცდილება, უცხოელთათვის რუსული ენის სწავლების, აგრეთვე უცხო ენების დაჩქარებული სწავლების მოწინავე გამოცდილება.

4. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა, სხვა სამინისტროებმა და უწყებებმა, რომელთა გამგებლობაშიც არიან სასწავლებლები, დააზუსტონ ფაქტიური მოთხოვნილება რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა კადრებზე და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან ერთად დააზუსტონ 1980-1990 წლებისათვის მათი მომზადების პერსპექტიული გეგმა.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი განათლების სამინისტროსთან და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან ერთად 2 თვის ვადაში გადაჭრას საკითხი იმის შესახებ, რომ დამატებით გამოიყოს ადგილები ასპირანტურაში რუსული ენისა და ლიტერატურის და მისი სწავლების მეთოდიკის მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა მოსამზადებლად.

6. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტთან ერთად 3 თვის ვადაში შეიმუშაოს რუსული ენის ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოების, ლექსიკონების, სასაუბროების, თვითმასწავლებლების, ადაბტირებული რუსული მხატვრული ლიტერატურის, მეთოდიკური და სხვა ლიტერატურის გამოცემის გეგმა; უზრუნველყოს მათი დროულად გამოცემა და გამოცემის მაღალი პოლიგრაფიული ხარისხი;

7. საქართველოს პროფსაბჭომ 2 თვის ვადაში შეიმუშაოს კონკრეტული ღონისძიებანი პროფკავშირთა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებთან რუსული ენის შემსწავლელი კურსებისა და წრეების შესაქმნელად.

8. საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა:

— უზრუნველყოს კომკავშირული ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, ტექნიკუმებსა და უმაღლეს სასწავლებლებში რუსული ენის სწავლების გაუმჯობესებისათვის მუშაობაში; განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს საწრეო, კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობას;

— პიონერთა და მოსწავლეთა სახლებთან, ახალგაზრდობის კლუბებთან მოაწყოს რუსული ენის შემსწავლელი სპეციალური წრეები: ფართოდ დანერგოს პრაქტიკაში ლიტერატურული დილა-საღამოების, მკითხველთა კონფერენციების მოწყობა, ზეპირი ჟურნალების, კედლის გაზეთების გამოშვება რუსულ ენაზე და სხვ.

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა მოაწყოს სპეციალური გადაცემები რუსული ენის შემსწავლელთა დასახმარებლად.

10. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა 1974-1975 სასწავლო წლიდან გაადიდოს მიღება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და რესპუბლიკის პედაგოგიური ინსტიტუტების დღის განყოფილებებზე და შესაბამისად შეამციროს მისაღები კონტინგენტი აღნიშნული სასწავლებლების საღამოსა და დაუსწრებელ განყოფილებებზე.

11. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა 2 თვის ვადაში შეიმუშაონ კონკრეტული წინადადებანი რესპუბლიკის სასწავლებლებში რუსული ენის სწავლების სასწავლო-მატერიალური ბა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხის განმტკიცების შესახებ და წარმოუდგინონ განსახილველად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

12. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს კპ რაიონულმა, საქალაქო და საოლქო კომიტეტებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა მიიღონ გადამჭრელი ზომები სკოლებში, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, ტექნიკუმებსა და უმაღლეს სასწავლებლებში რუსული ენის სწავლების ძირეული გაუმჯობესებისათვის; განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ პედაგოგიური კადრების შერჩევასა და განაწილებას, მათი იდეურ-თეორიული და პროფესიული ცოდნის დონის ამაღლებას, რუსული ენისა და ლიტერატურის მაღალკვალიფიციურ მასწავლებელთა მომზადებას საშუალო და უმაღლესი სასწავლებლებისათვის.

13. ეთხოვოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს გადაიყვანონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი მე-3 კატეგორიიდან მე-2 კატეგორიაში.

14. ეთხოვოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს:

ა) გაადიდოს სწავლების ვადა ერთი სასწავლო წლით რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტებზე, აგრეთვე დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდიკის ფაკულტეტებზე, რომლებიც ამზადებენ მასწავლებლებს არარუსული სკოლებისათვის;

ბ) ნება დართოს რომ არარუსულ სასწავლებლებში, რუსულ ენაში მეცადინეობისათვის გაიყოს სასწავლო ჯგუფები ორ ქვეჯგუფად ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში, თუ აღნიშნულ ჯგუფებში მოსწავლეთა რაოდენობა აღემატება 25 კაცს, საქალაქო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, თუ მოსწავლეთა რაოდენობა აღემატება 20 კაცს. საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში, თუ მოსწავლეთა რაოდენობა აღემატება 15 კაცს.

15. ეთხოვოს სკკპ ცენტრალურ კომიტეტს გარდაქმნას ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ ყოველკვარტალური რუსული დანართი „რუსული ენა ქართულ სკოლაში“ დამოუკიდებელ ყოველთვიურ ჟურნალად.

16. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა, სხვა სამინისტროებმა და უწყებებმა, რომელთა გამგებლობაშიც არიან სასწავლებლები, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს პროფსაბჭომ, საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა ანგარიში ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ წარმოუდგინონ საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტს 1973 წლის 1 ნოემბრამდე.

17. განხილულ იქნეს ეს დადგენილება და კომისიის ბარათი საქართველოს კპ რაიონული, საქალაქო და საოლქო კომიტეტების ბიუროების, უმაღლეს სასწავლებელთა პარტიული კომიტეტებისა და სამეცნიერო საბჭოების სხდომებზე, სასწავლებელთა პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებებზე, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონული, სასოფლო და სადაბო საბჭოების სესიებზე, მასწავლებელთა აგვისტოს თათბირებზე.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1973 წლის 10 ივლისის № 467.

59 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 28 ივნისის № 457 დადგენილების ნაწილობრივ ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ხაზით დახმარების დანიშვნისას მუშათა და მოსამსახურეთა განუწყვეტელი შრომის სტაჟის გამოანგარიშების წესების სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 13 აპრილის № 253 დადგენილების შესაბამისად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს 1973 წლის 1 ივლისიდან საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 28 ივნისის № 457 დადგენილების მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 13 აპრილის № 253 დადგენილებით 1973 წლის 1 ივლისიდან ძალადაკარგულად ითვლება მე-9 და მე-10 პუნქტები სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლის 14 აპრილის № 474 დადგენილებისა „სარეწაო კოოპერაციის რეორგანიზაციის შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 8 სექტემბრის № 507 დადგენილებით.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1973 წლის 24 ივლისი, № 474

60 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 17 მაისის № 277 დადგენილების მე-19 პუნქტის „გ„ ქვეპუნქტის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

გადასახლება-დასახლების შეღავათების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ცნობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 31 მაისის № 366 დადგენილების შესაბამისად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს „სამრეწველო საფუძველზე კვერცხისა და ფრინველის ხორცის წარმოების შემდგომი გადიდების ღონისძიებათა და „1971—1975 წლებისათვის საქართველოს სს რესპუბლიკაში საზოგადოებრივი მეფრინველეობის შემდგომი განვითარების შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 2 ივნისის № 329 დადგენილების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 17 მაისის № 277 დადგენილების მე-19 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო 1973 წლის 31 მაისის № 366 დადგენილებით ძალადაკარგულად არის ცნობილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 5 მარტის № 270 დადგენილება „სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 20 იანვრის № 74 დადგენილების ძალაში დატოვების შესახებ“ (დაგზავნილი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 27 მარტის № 382 განკარგულებით), შეღა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვათების დაწესების ნაწილში, რაც გათვალისწინებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 20 იანვრის № 74 დადგენილების მე-7 პუნქტის პირველი აბზაცით.

საქართველოს კპ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ე. შევარდნაძე.

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
გ. ჯავახიშვილი.

ქ. თბილისი, 1973 წლის 31 ივლისი, № 482

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

61 1973 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის საქართველოს მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის მუშაკთა სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ" საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის 23 იანვრის № 49 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე

იმასთან დაკავშირებით, რომ გაუქმდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ხილ-ბოსტნეულის დამზადების, გადამუშავებისა და რეალიზაციის სახელმწიფო კომიტეტი „საქკონსერვხილბოსტანი" და მისი საწარმოები და ორგანიზაციები გადაეცათ ცეკავშირს, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი **ა დ გ ე ნ ე ნ:**

1. შეტანილ იქნეს ცვლილებანი „1973 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის საქართველოს მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის მუშაკთა სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ" საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის 23 იანვრის № 49 დადგენილების № 1 და

ეროვნული ბიბლიოთეკა

2 დანართებში და დამატებით დაწესდეს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროსა და ცეკავშირისათვის საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის თითო წითელი დროშა დიპლომებითა და ფულადი პრემიებით და სამინისტროების, უწყებებისა და დარგობრივ პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტების თითო გარდამავალი წითელი დროშა დიპლომებითა და ფულადი პრემიებით, რომლებიც ადრე გათვალისწინებული იყო „საქკონსერვხილბოსტნის“ ყოფილი სახელმწიფო კომიტეტისათვის.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შეგვარდნაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**
საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე **თ. მოსაშვილი.**	საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ჟ. შარტავა.**

ქ. თბილისი, 1973 წ. 3 ივლისი, № 441

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება

62 მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი თანდართული დებულება მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების შესახებ.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 15 სექტემბრის № 485 დადგენილებით დამტკიცებული დებულება მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1973 წ. 3 ივლისი, № 415

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1973 წლის 3 ივლისის № 415
დადგენილებით

დებულება

მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების შესახებ

1. მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება იქმნება საქართველოს სსრ კონსტიტუციის 104-ე მუხლის შესაბამისად და თავის საქმიანობაში ემორჩილება როგორც მშრომელთა დეპუტატების რაიონულ, საქალაქო საბჭოსა და მის აღმასრულებელ კომიტეტს, ისევე საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს, ხოლო აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკაში, აჭარის ასსრ რესპუბლიკაში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ემორჩილება აგრეთვე ასსრ რესპუბლიკის სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს, მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებას.

2. მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება სახელმწიფო მართვის დარგობრივი ორგანოა, რომელიც უშუალოდ ახორციელებს რაიონის, ქალაქის მშრომელთა სოციალურ უზრუნველყოფას.

სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებას ეკისრება მთელი პასუხისმგებლობა სახელმწიფო და საკოლმეურნეო პენსიების, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედების სახელმწიფო დახმარებათა, ბავშვობიდან ინვალიდთა ყოველთვიური დახმარების დანიშვნის სისწორისათვის, პენსიებისა და დახმარებათა გასაცემად გათვალისწინებული სახელმწიფო სახსრების ხარჯვის სისწორისათვის.

3. მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირის კონსტიტუციითა და საქართველოს სსრ კონსტიტუციით, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებითა და დადგენილებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით, მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებებითა და განკარგულებებით სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, სოციალური უზრუნველყოფის ზემდგომი ორგანოების ბრძანებებით, ინსტრუქციებითა და მითითებებით და ამ დებულებით.

ბ. მარქსის სახ. ს... ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტონომიურ რესპუბლიკებში სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს აგრეთვე ასს რესპუბლიკის კონსტიტუციით, ავტონომიური რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტებით, ასს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით, ხოლო სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებებითა და განკარგულებებით.

4. მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება თავის საქმიანობას ახორციელებს პროფკავშირულ ორგანიზაციებთან, პენსიონერთა საბჭოებთან და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მჭიდრო კონტაქტითა და ურთიერთმოქმედებით.

5. მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების ძირითადი ამოცანებია:

— უზრუნველყოს კანონით დადგენილი პენსიებისა და დახმარებათა დროულად და სწორად დანიშვნა და გაცემა მოქალაქეთათვის მინიჭებული კანონიერი შეღავათებისა და უპირატესობათა გათვალისწინებით;

— განახორციელოს ხელმძღვანელობა და კონტროლი საექიმო-შრომითი ექსპერტიზის ორგანოების საქმიანობისადმი;

— დახმარება გაუწიოს მუშაობაში რაიონის, ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებულ საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს სასწავლო საწარმოებსა და ღრმა მოხუცთა და ინვალიდთა სახლ-ინტერნატებს და განახორციელოს მეთვალყურეობა მათი საქმიანობისადმი;

— განახორციელოს ინვალიდთა შრომითი მოწყობის ღონისძიებანი შრომითი რეკომენდაციების შესაბამისად;

— თვალყური ადევნოს სამამულო ომის ინვალიდთა და სხვა პენსიონერთათვის კანონით დადგენილი შეღავათებისა და უპირატესობათა მინიჭების სისწორეს;

— განახორციელოს მზრუნველობის ფუნქციები იმ ქმედუნარიან პირთა მიმართ, რომელთაც ესაჭიროებათ მზრუნველობა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო;

— მეთვალყურეობა გაუწიოს რაიონის, ქალაქის ტერიტორაზე განლაგებულ საქართველოს უსინათლოთა საზოგადოებისა და ყრუ-მუნჯთა საზოგადოების სასწავლო საწარმოთა მუშაობას და დაეხმაროს მათ.

6. მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება.

ა) იღებს წარდგინებებს, განცხადებებსა და დოკუმენტებს, რომლებიც უნდა განიხილოს მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულმა პენსიებისა და დახმარებათა დამნიშვნელმა კომისიამ, აგრეთვე კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის რაიო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნულ საბჭოსთან არსებულმა კოლმეურნეობების წევრთა პენსიებისა და დახმარებათა დამნიშვნელმა კომისიამ;

ბ) აფორმებს და ინახავს პენსიებისა და დახმარებათა დამნიშვნელი კომისიის ოქმებს, პენსიონერთა და დახმარების მიმღებთა საპენსიო და პირად საქმეებს, პირად ანგარიშებს, ჟურნალებსა და განცხადებებს, პირადი ანგარიშების რეესტრებს, აგრეთვე ახდენს საპენსიო და პირადი საქმეებისა და პირადი ანგარიშების ყოველწლიურ ინვენტარიზაციას;

გ) აძლევს პენსიონერებს საპენსიო მოწმობებს და მრავალშვილიან და მარტოხელა დედებს — წიგნაკებს და აწარმოებს მათს აღრიცხვას;

დ) უზრუნველყოფს პენსიებისა და დახმარებათა დროულად გაცემას და კონტროლს უწევს კავშირგაბმულობის საწარმოების მიერ მათ დროულად მიტანას;

ე) ამოწმებს პენსიონერთა მატერიალურ მდგომარეობას, თვალყურს ადევნებს, რომ იმ ინვალიდებმა, რომელთაც გარკვეული ვადით აქვთ დადგენილი ინვალიდობა, დროულად გაიარონ ხელახალი შემოწმება საექიმო-შრომითს საექსპერტო კომისიაში;

ვ) აღრიცხავს პირებს, რომლებიც პროთეზირებას საჭიროებენ, და დახმარებას უწევს მათ საპროთეზო-ორთოპედიულ ნაკეთობათა მიღებაში;

ზ) ხელმძღვანელობს რაიონული, საქალაქო საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიის მუშაობას;

თ) ეწევა ახსნა-განმარტებითს მუშაობას საპენსიო კანონმდებლობისა და სოციალური უზრუნველყოფის სხვა საკითხებზე, სისტემატურად აწყობს საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში კონსულტაციებსა და ლექციებს სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე;

ი) აღრიცხავს სამამულო ომის ინვალიდებსა და სხვა სამხედრო მოსამსახურე ინვალიდებს, რომელთაც უფლება აქვთ უფასოდ მიიღონ სატრანსპორტო საშუალებანი, აფორმებს დოკუმენტებს და ეხმარება მათ ხელით სამართავი მსუბუქი ავტომანქანის ან მოტოციკლის მიღებაში;

კ) ახორციელებს საერთო მეთვალყურეობასა და კონტროლს პენსიონერთა და კოლმეურნეთა საზოგადოებრივი ურთიერთდახმარების სალაროების მუშაობისადმი;

ლ) ადგენს სოციალური უზრუნველყოფის გეგმებსა და ხარჯთაღრიცხვებს და წარუდგენს მათ დასამტკიცებლად მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს და სოციალური უზრუნველყოფის ზემდგომ ორგანოს;

მ) იღებს ზომებს სამამულო ომის ინვალიდთა, აგრეთვე სხვა ინვალიდთა და პენსიონერთა შრომითი მოწყობისათვის, გზავნის მათ სასწავლებლად კურსებზე და სასწავლებლებში;

ნ) ხელს უწყობს ინვალიდთა პროფესიული სწავლებისა და ხელახლა სწავლების ორგანიზაციას საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებსა და კოლმეურნეობებში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ო) კონტროლს უწევს საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებსა და კოლმეურნეობებში მომუშავე ინვალიდთა შრომის პირობებს, თვალყურს ადევნებს იმას, რომ ისინი მოეწყონ სამუშაოზე საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიის შრომითი რეკომენდაციების შესაბამისად;

პ) მატერიალურ დახმარებას უწევს ინვალიდებსა და პენსიონერებს, ხელს უწყობს ადგილობრივი საბჭოების, დაწესებულებათა და საწარმოთა მეშვეობით მათთვის საჭირო საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების შექმნას, ინვალიდთა და პენსიონერთა უკეთ მომსახურების მიზნით ფართოდ იზიდავს მუშაობაში პენსიონერთა და მშრომელთა აქტივს;

ჟ) თვალყურს ადევნებს იმას, რომ ადგილობრივმა ორგანიზაციებმა (საფინანსო განყოფილებამ და სხვ.) მიანიჭონ პენსიისა და დახმარების მიმღებ პირებს კანონით დაწესებული შეღავათები;

რ) აფორმებს საჭირო დოკუმენტებს იმ ინვალიდთა და ღრმა მოხუცთა შესახებ, რომლებმაც სურვილი გამოთქვეს იცხოვრონ სახლ-ინტერნატში, და წარუდგენს მათ საქართველოს სსრ სოციალური უზუნველყოფის სამინისტროს ღრმა მოხუცთა და ინვალიდთა სახლ-ინტერნატში მათი ჩარიცხვის საკითხის გადასაჭრელად;

ს) თვალყურს ადევნებს რაიონის, ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებული ღრმა მოხუცთა და ინვალიდთა სახლ-ინტერნატებისა და პანსიონატების საქმიანობას და ეხმარება მათ მუშაობაში;

ტ) ანაწილებს და აძლევს სამამულო ომის ინვალიდებს, შრომის ინვალიდებსა და სხვა პენსიონერებს, რომლებიც არ მუშაობენ, სანატორიულ-საკურორტო საგზურებს და თვალყურს აღევნებს მათი გამოყენების სისწორეს.

7. მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებას სათავეში უდგას გამგე.

სოციალური უზრუნველყოფის გამგე პერსონალურად აგებს პასუხს სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებისადმი დაკისრებული ამოცანებისა და მოვალეობათა შესრულებისათვის.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროსთან შეთანხმებით, ხოლო აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში, აჭარის ასს რესპუბლიკაში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქსა და ქალაქ თბილისში — შესაბამისად — ასს რესპუბლიკის სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროსთან, მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო საბჭოს აღმასკომის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებასთან შეთანხმებით ნიშნავს განყოფილების გამგის მოვალეობის შემსრულებელს და ათავისუფლებს სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების გამგის მოვალეობის შესრულებისაგან, რაც შემდგომ უნდა დაამტკიცოს მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს მორიგმა სესიამ.

მუნიციპალური ბიბლიოთეკა

8. სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების გამგე:

ა) ხელმძღვანელობს განყოფილების მთელ საქმიანობას; გამოსცემს თავისი კომპეტენციის ფარგლებში განკარგულებებსა და ბრძანებებს რაიონული, საქალაქო საბჭოს, მისი აღმასრულებელი კომიტეტის, აგრეთვე სახელმწიფო ხელისუფლებისა და სახელმწიფო მართვის ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებათა და განკარგულებათა საფუძველზე და შესასრულებლად;

ბ) განაგებს კრედიტს დამტკიცებულ ხარჯთაღრიცხვათა ფარგლებში;

გ) განიხილავს მშრომელთა განცხადებებს, წინადადებებსა და საჩივრებს და იღებს მათ გამო საჭირო ზომებს;

დ) ახორციელებს მთხოვნელთა მიღებას;

ე) უზრუნველყოფს საფინანსო-სახარჯთაღრიცხვო დისციპლინის დაცვას, აღრიცხვისა და ანგარიშგების სწორად წარმოებას;

ვ) იღებს სამუშაოზე და ითხოვს სამუშაოდან დადგენილი წესით სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების მუშაკებს ნომენკლატურის მიხედვით.

9. მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების გამგე არის მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული პენსიების დამნიშვნელი კომისიისა და მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის დახმარებათა დამნიშვნელი კომისიის თავმჯდომარე.

კომისიის წევრები არიან: მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების გამგე და პროფკავშირული ორგანიზაციის წარმომადგენელი. იმ შემთხვევაში, როცა პენსია ენიშნებათ სამხედრო მოსამსახურეებსა და მათს ოჯახებს, კომისიის შემადგენლობაში შედის რაიონის, ქალაქის სამხედრო კომისარი.

10. მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების უფროს ინსპექტორსა და უფროს ბუღალტერს ნიშნავს მშრომელთა დეპუტატების საბჭოს შესაბამისი აღმასრულებელი კომიტეტი საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროსთან, აფხაზეთის ასსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროსთან, აჭარის ასსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროსთან და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებასთან შეთანხმებით.

ქ. თბილისის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების უფროს ინსპექტორსა და უფროს ბუღალტერს ნიშნავს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომი თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებასთან და საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროსთან შეთანხმებით.

11. მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება იყოფება ადგილობრივ ბიუჯეტზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

12. მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება სარგებლობს იურიდიული პირის უფლებებით, აქვს ბეჭედი საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბის გამოსახულებით და თავისი დასახელებით.

---

63 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 6 ივლისის № 446 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 6 ივლისის № 446 დადგენილების — „იმის შესახებ, რომ საბჭოთა მეურნეობების მუშებს ნატურით მიეცეს ნაწილი დამატებითი საზღაურისა საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში, მაღალი ხარისხით შესრულებული სამუშაოებისათვის და პრემიებისა საერთო პროდუქციის მიღების გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის“ — ნაწილობრივ შესაცვლელად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს წინადადება და ნება დაერთოს მას საჭიროების მიხედვით (მუშების სურვილისამებრ) დამატებითი ფულადი საზღაურისა და პრემიის ნაწილი გასცეს ნატურით, სიმინდის მარცვლის სახით, იმ დამატებითი საზღაურისა და პრემიების 80 პროცენტის ოდენობით, რაც მათ ერგებათ სიმინდის წარმოების გადიდებისა და მისი თვითღირებულების შემცირებისათვის, აგრეთვე სამუშაოთა საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის და სიმინდის საერთო პროდუქციის მიღების გეგმის გადაჭარბებისათვის მისი ხარისხის გათვალისწინებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1973 წ. 23 ივლისი, № 443

ეროვნული ბიბლიოთეკა

64 რესპუბლიკის ზოგიერთი საპროექტო ორგანიზაციის გამსხვილების შესახებ

აქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკაში შეიმჩნევა გაუმართლებელი ზრდა წვრილი საპროექტო ორგანიზაციების რაოდენობისა, რომელიც 134-ს აღწევს და თითქმის ერთიორად აღემატება 1968 წელს მოქმედი ორგანიზაციების რიცხვს. ასეთმა მდგომარეობამ წარმოშვა პარალელიზმი საპროექტო ორგანიზაციების მუშაობაში, გამოიწვია მათ მიერ გამოძვებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ხარისხის გაუარესება, სპეციალისტთა გადაბირება რესპუბლიკის წამყვანი საპროექტო ინსტიტუტებიდან, რომლებიც დაკომპლექტებული არაა საჭირო კადრებით და სისტემატურად განიცდიან მათ მწვავე ხაკლებობას.

ოესპუბლიკაში საპროექტო საქმის ორგანიზაციის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ მიხიატრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. გაერთიანდნენ 1973 წლის 1 ოქტომბრიდან რესპუბლიკის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების სოფლის მეურნეობის სამმართველოების საპროექტო ჯგუფები, ტექნიკური ინვენტარიზაციის (ან ტექნიკური აღრიცხვის) და რაიონის არქიტექტორის (საწარმოო ჯგუფის გარეშე) ბიუროები ერთ საპროექტო ჯგუფად, რომელიც დაექვემდებაროს აღმასკომს და დაეკისროს მას იმ შენობა-ნაგებობათა რეკონსტრუქციის, ტიპობრივი პროექტების მიბმის, კეთილმოწყობის ობიექტებისა და მცირე არქიტექტურული ფორმების დაპროექტება, რომელთა მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება არ აღემატება 50 ათას მანეთს, და კაპიტალური რემონტის პროექტების შედგენა სამუშაოთა ღირებულების შეუზღუდავად, აგრეთვე რაიონული ცენტრებისა და სასოფლო დასახლებული პუნქტების ინდივიდუალურ მენაშენეთათვის საცხოვრებელი სახლების დაპროექტება და ადგილმდებარეობასთან მიბმა.

თუ რაიონში აო არის დამპროექტებელთა სათანადო კადრები, ნებადართულია შეიქმნას სარაიონთაშორისო საპროექტო ორგანიზაციები.

შეიქმნას საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროსთან სამეურნეოანგარიშიანი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო კანტორა, რომელსაც დაეკისროს ტიპობრივი პროექტების ადგილმდებარეობასთან მიბმის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოთა შესრულება, საპლანტაციო გზებისა და საინჟინრო ქსელების, 100 ათას მანეთამდე ღირებულების მშენებლობის ნაგებობათა რეკონსტრუქციის, აგრეთვე ღირებულების შეუზღუდავად შენობა-ნაგებობათა კაპიტალური რემონტის პროექტების შედგენა.

აეკრძალოთ 1973 წლის 1 ოქტომბრიდან სოფლის მეურნეობის რაიონულ სამმართველოებს, ტექნიკური ინვენტარიზაციის (ან ტექნიკური აღრიცხვის) ბიუროებს, რაიონის არქიტექტორებთან არსებულ საწარმოო ჯგუფებს, სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს, ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საბჭოთა მეურნეობების ტრესტის, მევენახეობისა და მეხილეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის, მებოსტნეობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრესტის, მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტისა და საქართველოს მეფრინველეობის მრეწველობის სამმართველოს საპროექტო ჯგუფებს შენობა-ნაგებობათა მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და კაპიტალური რემონტის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

2. დაისვას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის წინაშე საკითხი იმის შესახებ, რომ გააუქმოს 1974 წლის 1 იანვრიდან „სახკინოპროექტის“ ინსტიტუტის თბილისის განყოფილება.

3. გათვალისწინებულ იქნეს, რომ მიზანშეუწონელია რესპუბლიკაში არსებობდეს ორი პარალელურად მოქმედი ერთნაირი საპროექტო ორგანიზაცია, და დაისვას სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროს წინაშე საკითხი იმის შესახებ, რომ გააერთიანოს 1974 წლის 1 იანვრიდან „ენერგოქსელპროექტისა“ და „სოფლენერგოპროექტის“ ინსტიტუტების საქართველოს განყოფილებანი ერთ საპროექტო ორგანიზაციად.

4. საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრმა ამხ. ჩხეიძემ გააერთიანოს 1973 წლის 1 ოქტომბრიდან ერთ საპროექტო ორგანიზაციად თბილისის საქალაქო სატელეფონო ქსელის სამმართველოს საპროექტო კანტორა და საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს საპროექტო ჯგუფი.

5. დაისვას სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს წინაშე საკითხი იმის შესახებ, რომ გააუქმოს 1974 წლის 1 იანვრიდან „ხორცმრეწვსახპროექტის“ საპროექტო ინსტიტუტის თბილისის განყოფილება და საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს ობიექტების დაპროექტების ფუნქციები გადასცეს „საქკვებმრეწვსახპროექტის“ საპროექტო ინსტიტუტს.

6. ეთხოვოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს იმის ნებართვა, რომ იმ საპროექტო ორგანიზაციებში სამუშაოდ, რომლებიც უზრუნველყოფილი არ არიან ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა მაღალკვალიფიციური კადრებით, ჩაბმულ იქნენ პენსიონერები და შეუნარჩუნდეთ მათ პენსიები.

7. დაევალოთ რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს:

ა) ერთი თვის ვადაში შეიმუშაონ დებულებანი თავიანთი საქვეუწყებო საპროექტო ორგანიზაციების შესახებ მათი საქმიანობის ძირითადი პროფილის მიხედვით და წარუდგინონ დასამტკიცებლად საქართველოს სსრ სახმშენს;

ბ) არ დაუშვან, რომ საქვეუწყებო საპროექტო ორგანიზაციები ასრულებდნენ მათი პროფილით გაუთვალისწინებელ სამუშაოებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესაბამისი ნებართვის გარეშე.

8. საქართველოს სსრ სახმშენმა განიხილოს და დაამტკიცოს რესპუბლიკის სამინისტროების, უწყებებისა და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომების მიერ წარდგენილი დებულებანი საპროექტო ორგანიზაციების შესახებ და უზრუნველყოს კონტროლი მათი დაცვისადმი.

9. რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა უზრუნველყონ, რომ კვალიფიციურ სპეციალისტთა ძალებით აუცილებლად მოეწყოს მათი საქვეუწყებო საპროექტო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული ტექნიკური დოკუმენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტაციის ექსპერტიზა, და განახორციელონ დადგენილი წესის შესაბამისად საავტორო ზედამხედველობა მშენებლობისადმი.

საქართველოს სსრ სახმძენმა პერიოდულად შეამოწმოს წვრილი საპროექტო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული ტექნიკური დოკუმენტაციის ექსპერტიზის ჩატარების ხარისხი.

10. საქართველოს სსრ სახმშენმა დააწესოს სისტემატური კონტროლი საბინისტროებთან და უწყებებთან არსებული წვრილი საპროექტო ორგანიზაციების, საპროექტო ბიუროებისა და საპროექტო კანტორების საქმიანობისადმი და მათ მიერ საშტატო-საფინანსო დისციპლინის დაცვისადმი.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ 1973-1974 წლებში შეისწავლოს რესპუბლიკაში მოქმედი წვრილი საპროექტო ორგანიზაციების, საპროექტო ბიუროებისა და საპროექტო კანტორების სტრუქტურა და წარმოადგინოს წინადადებანი მათი შემდგომი გამსხვილების შესახებ.

11. საქართველოს სსრ სახმშენმა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან ერთად წარმოადგინოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ ამ დადგენილებასთან დაკავშირებით ცალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წინათ მიღებული დადგენილებანი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1973 წ. 24 ივლისი, № 444

65 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ვლადიმერ ყაფლანის ძე ჟღენტის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ

გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, საქართველოში პათოლოგანატომიური სკოლისა და სამსახურების ფუძემდებლის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის ვლადიმერ ყაფლანის ძე ჟღენტის ხსოვნის უკვდავყოფის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაეკალოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას:

ა) გამოსცეს აკადემიკოს ვ. ყ. ჟღენტის რჩეულ ნაშრომთა კრებული;

ბ) დადგას ვ. ყ. ჟღენტის ბიუსტი განსვენებულის საფლავზე.

2. მიეკუთვნოს საქართველოს პათოლოგანატომთა სამეცნიერო საზოგადოებას აკადემიკოს ვ. ყ. ჟღენტის სახელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. დაწესდეს თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენრსანი სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ფრიადოსანი სტუდენტებისათვის აკადემიკოს ვ. ყ. ჟღენტის სახელობის ერთი სტიპენდია ინსტიტუტისათვის დამტკიცებული სასტიპენდიო ფონდის ანგარიშში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1973 წ. 30 ივლისი, № 456

66 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაემატოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილებით დამტკიცებულ იმ საწარმოთა და დაწესებულებათა სიას, რომელთა სახლებიდან საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის შესაბამისად დასაშვებია სასამართლო წესით იმ მუშა-მოსამსახურეთა გამოსახლება საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად, რომლებმაც შეწყვიტეს შრომითი ურთიერთობა საკუთარი სურვილით, ან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის, ანდა ბოროტმოქმედების ჩადენისათვის დათხოვნასთან დაკავშირებით, შემდეგი პუნქტი:

„137. სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს ბრძმედების სარემონტო ცენტრალური ტრესტის ამიერკავკასიის სპეციალიზებული სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს საცხოვრებელი სახლები“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1973 წ. 31 ივლისი, № 464

ეროვნული ბიბლიოთეკა

67 სამსახურებრივი მსუბუქი ავტომობილების გამოყენების მოწესრიგებისა და მათი შენახვის ხარჯების შემცირების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა შეასუსტეს კონტროლი სამსახურებრივი მსუბუქი ავტომობილების გამოყენების დადგენილი წესების დაცვისადმი და არ იღებენ საჭირო ზომებს, რათა შეამცირონ მათი შენახვის ხარჯები, რომლებიც გაუმართლებლად დიდია. ამავე დროს სამსახურებრივი მსუბუქი ავტომობილების პარკი განუწყვეტლივ იზრდება, ხოლო საუწყებო ავტომანქანების მომსახურებაზე დასაქმებულია დიდძალი შტატიანი შოფერი, მაშინ როცა მძღოლთა ნაკლებობის გამო ადგილი აქვს სატვირთო და სამგზავრო საავტომობილო ტრანსპორტის მნიშვნელოვან მოცდენას.

ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა საერთო სარგებლობის ტრანსპორტის ავტომეურნეობაში არსებული სამსახურებრივი მსუბუქი ავტომობილების პარკის განვითარებას, ამ მეურნეობათა პარკი წლითიწლობით მცირდება.

ბევრი საწარმო, ორგანიზაცია და დაწესებულება სამსახურებრივი მსუბუქი საავტომობილო ტრანსპორტის შესანახად ხარჯავს სახსრებს, რომლებიც აღემატება იმ მიზნით დამტკიცებულ ასიგნებებს. ხშირად სამსხურებრივი მსუბუქი ავტომობილები გამოყენებულია არადანიშნულებისამებრ.

საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა ვერ უზრუნველყვეს, რომ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მუშაკებს ესწავლათ ავტომობილის მართვა, როგორც ამას ითვალისწინებს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 15 ივლისის № 772 დადგენილება. ამის შედეგად რესპუბლიკაში დღემდე არ გავრცელებულა შტატიანი შოფრების გარეშე სამსახურებრივი მსუბუქი ავტომობილების გამოყენები ფორმა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 31 მაისის № 372 დადგენილების შესაბამისად, აგრეთვე სამსახურებრივი მსუბუქი ავტომობილების გამოყენების მოწესრიგებისა და მათი შენახვის ხარჯების შემცირების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ა დ გ ე ნ ს:

1. შემცირდეს 1973 წლის მმართველობის აპარატის მუშაკთა მომსახურე მსუბუქი ავტომობილების პარკი 511 ერთეულით და მსუბუქი ავტომობილების პარკის შენახვის ხარჯები (ამ მიზნით 1972 წლის ხარჯებთან შედარებით) — 2415 ათასი მანეთით, დანართის თანახმად.

2. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დაამყარონ სახელმწიფო წესრიგი სამსახურებრივი მსუბუქი ავტომობილების გამოყენების საქმეში და გააძლიერონ კონტროლი მათი შენახვის სახსრების ხარჯვისადმი;

— უზრუნველყონ, რომ სავაჭრო ორგანიზაციებს გადაეცეთ საკომისიო მაღაზიების მექვეობით მოსახლეობისათვის მისაყიდად ის მსუბუქი ავტომობილები, როლებიც განთავისუფლდება ამ დადგენილებით გათვალისწინებულ მსუბუქი ავტომობილების პარკის შემცირებასთან დაკავშირებით;

— საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ უზრუნველყოს გასაყიდად გათვალისწინებული სამსახურებრივი მსუბუქი ავტომობილების შეუფერხებელი მიღება და დააწესოს კონტროლი იმისადმი, რომ საკომისიო მაღაზიების აღნული მანქანები ჩაბარდეთ დანართში აღნიშნული ოდენობით.

სავაჭრო ორგანიზაციებს ავტომობილები გადაეცემათ მოქმედ საცალო ფასებში (ცვეთის გათვალისწინებით) საკომისიო გასამრჯელოს გამოკლებით, ხოლო მათთვის მიღებული თანხები შედის საკავშირო ბიუჯეტის შემოსავალში;

— უზრუნველყონ, დამტკიცებულ ასიგნებათა საერთო ოდენობის გათვალისწინებით, საქვეუწყებო საწარმოებისათვის, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის ასიგნებათა დამტკიცება სამსახურებრივი მსუბუქი ავტომობილების შესაანახად.

სამსახურებრივი მსუბუქი ავტომობილების შესანახად განკუთვნილი ასიგნებანი გამოჰყონ ცალკე სტრიქონად საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მმართველობის აპარატის შენახვის ხარჯთაღრიცხვებში;

— განსაზღვრონ იმ მუშაკთა წრე, რომლებსაც ეძლევათ სამსახურებრივი მგზავრობისათვის მსუბუქი ავტომობილების გამოყენების უფლება, და აცნობონ ეს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს:

— აკრძალონ ასიგნებათა გადიდება არსებულ საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში სამსახურებრივი მსუბუქი ავტომობილების შესანახად. აღნიშნული ხარჯების გადიდება შეუძლია საქართველო სსრ მინისტრთა საბჭოს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით მხოლოდ ახლად შექმნილი საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების სამსახურებრივი მსუბუქი ავტომობილებით მომსახურების უზრუნველსაყოფად.

დაწესდეს, რომ საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შეუძლიათ გამოიყენონ სახსრები საერთო სარგებლობის ტრანსპორტის ავტომეურნეობებიდან მსუბუქი ავტომობილებით სარგებლობისათვის ხარჯების ასანაზღაურებლად, აგრეთვე მათი კუთვნილი სამსახურებრივი მსუბუქი ავტომობილების შესანახად მხოლოდ ამ მიზნით დამტკიცებულ ასიგნებათა ფარგლებში;

— რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებში განლაგებულ სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელებმა მსუბუქი ავტომანქანები შეინახონ არსებული წესების დაცვით საერთო სარგებლობის ტრანსპორტის ავტომეურნეობებში;

— საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ 1973-1975 წლებში უზრუნველყოს იმ ღონისძიებათა განხორციელება, რომ საერთო სარგებლობის გარაჟებში მიიღონ რესპუბლიკის სამინისტროთა, უწყებათა, ორგანიზაციათა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და საწარმოთა მსუბუქი ავტომანქანები დაწესებული ნორმების თანხად, და მომსახურება გაუწიონ ამ ავტომანქანებს;

— გაფრთხილებულ იქნენ საწარმოთა, ორგნიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები, რომ მათ ეკისრებათ პერსონალური პასუხისმგებლობა სამსახურებრივი მსუბუქი ავტომობილების შესანახად დაწესებულ ასიგნებათა გადამეტებით აღნიშნული ავტომობილების შენახვის სახსრების ხარჯვისათვის.

3. დაწესდეს, რომ საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში სამსახურებრივი მსუბუქი ავტომობილებით სარგებლობის ძირითადი ფორმა უნდა იყოს მუშაკთა სამსახურებრივი მგზავრობისათვის მათი მიცემა შტატინი შოფრების გარეშე. სამსახურებრივი მსუბუქი ავტომობილებით სარგებლობის ამ ფორმაზე გადასვლა განხორციელდეს 3 წლის განმავლობაში.

დაევალოთ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს განახორციელონ ღონისძიებანი, რათა საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში შეიქმნას საჭირო პირობები სამსახურებრივი მსუბუქი ავტომობილებით სარგებლობის აღნიშნულ ფორმაზე გადასასვლელად, და ასეთი პირობების შექმნის კვალობაზე შემცირდეს სამსახურებრივი მსუბუქი ავტომობილების შტატიან შოფერთა რაოდენობა (მაღალმთიან რაიონებში განლაგებულ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მსუბუქი ავტომობილების შოფრების გარდა). საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების სამეურნეო და სხვა საჭიროებათა დაკმაყოფილებასთან დაკავშირებული მგზავრობის უზრუნველსაყოფად, აგრეთვე იმ პირთა მომსახურებისათვის, რომლებსაც აქვთ სამსახურებრივი მსუბუქი ავტომობილით სარგებლობის უფლება, მაგრამ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლიათ მისი მართვა, შენარჩუნებულ იქნენ საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, სადაც არის 3-მდე სამსახურებრივი მსუბუქი ავტომობილი, მსუბუქი ავტომობილის შოფრის თითო საშტატო თანამდებობა, 3-დან 10-მდე სამსახურებრივი მსუბუქი ავტომობილი, — შოფრის 3-3 საშტატო თანამდებობა და 10-ზე მეტი სამსახურებრივი მსუბუქი ავტომობილი, — დამატებით შოფრის თითო საშტატო თანამდებობა ყოველ 5 მსუბუქ ავტომობილზე 10-ის ზევით.

4. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს გააძლიეროს კონტროლი სამსახურებრივი მსუბუქი ავტომობილების შენახვის სახსრების ხარჯვისადმი.

საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა უზრუნველყონ კონტროლი იმისადმი, რომ სპეციალური მსუბუქი ავტომობილები გამოყენებული იყოს ზუსტად დანიშნულების მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა 1973 წლის 15 ნოემბრამდე წარუდგინონ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტოსა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს სპეციალური მსუბუქი ავტომობილების ნუსხა მათი რაოდენობის აღნიშვნით.

6. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ 1973 წლის 15 დეკემბრამდე წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სპეციალური მსუბუქი ავტომობილების ნუსხა სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შესათანხმებლად.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ უზრუნველყოს სპეციალური მსუბუქი ავტომობილების რეგისტრაცია აღნიშნული ნუსხის შესაბამისად.

7. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ და საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ 1973 წლის 10 დეკემბრამდე მოახსენონ საქართველოს სსრ მინისტრა საბჭოს ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

8. დაევალოს არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების რესპუბლიკურ კომიტეტს მოაწყოს აკტომობილის მართვის სწავლება საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მუშაკებისათვის, რომლებსაც მიცემული აქვთ შტატიანი შოფრების გარეშე სამსახურებრივი მგზავრობისათვის მსუბუქი ავტომობილებით სარგებლობის უფლება, პროგრამების მიხედვით და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან და რესპუბლიკის დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებული პირობებით.

მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ თავისი 1973 წლის 31 მაისის № 372 დადგენილებით დაავალა:

— სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს — განსაზღვროს სამსახურებრივი მსუბუქი ავტომობილების შენახვის ხარჯების შემცირებისა და მიღებული ეკონომიის ბიუჯეტში გადარიცხვის წესი, აგრეთვე განთავისუფლებული ავტომობილების შეფასებისა და მათი რეალიზაციით მიღებული თანხების ბიუჯეტში შეტანის წესი;

— სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს — დაამტკიცონ სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით ასიგნებათა საერთო ოდენობა სამსახურებრივი მსუბუქი ავტომობილების შესანახად მათ საქვეუწყებო საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, რომლებიც მდებარეობენ როგორც ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დაბებში, ისევე სოფლად, ამ მიზნით 1973 წელს გაწეული ხარჯების გათვალისწინებით, ამასთან მხედველობაში მიიღონ მათი შემცირება 1973 წელს ამ დადგენილების 1-ლი პუნქტის შესაბამისად; 1974 წელს უზრუნველყონ მსუბუქი ავტომობილების შენახვის ხარჯების შემცირება 15-20 პროცენტით. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს და მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს — გაითვალისწინონ ეს ცირება 1974 წლის გეგმებში;

— სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს — შეიტანოს სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების და მოკავშირე რესპუბლიკების მმართველობის აპარატის შენახვის ზღვრულ ასიგნებათა ოდენობაში შესწორებანი საძსახურებრივი მსუბუქი ავტომობილებია შენახვის ასიგნებათა ოდენობის ცვლილებებთან დაკავშირებით;

— სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან, სსრ კავშირის შიხაგან საქმეთა სამინისტროსთან და სსრ კავშირის ვაჭრობის სამინატოსთან ერთად — ექვსი თვის ვადაში შეიმუშაოს და წარუდგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებანი საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მუშაკებისათვის იძ დანახარჯების ნაწილის კომპენსაციის წესის შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია მათ პირად საკუთრებაში არსებული მსუბუქი ავტომობილების სამსახურებრივი მგზავრობისათვის გამოყენებასთან, აგრეთვე ასეთი ავტომობილების ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის ორგანიზაციის შესახებ;

— საჭიროდ ჩაითვალოს, რომ, მოყოლებული 1974 წლიდან, შემცირდეს სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებებისათვის, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების განკარგულებაში მსუბუქი ავტომობილების გამოყოფა სამსახურებრივი სარგებლობისათვის, ამასთან გადიდდეს მსუბუქი ავტომობილების გამოყოფა საერთო სარგებლობის ტრანსპორტის ავტომეურნეობებისათვის და სატაქსმოტორო პარკის შესავსებად;

— სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს — გაითვალისწინოს სახალხო-სამეურნეო გეგმათა პროექტებში სამსახურებრივი სარგებლობისათვის მსუბუქი ავტომობილების გამოყოფა სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებებისათვის, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების განკარგულებაში ამ ავტომობილების შესანახად დადგენილი წესით დამტკიცებულ ასიგნებათა ოდენობის გათვალისწინებით.

9. ამ დადგენილების გამოცემით ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 30 ნოემბრის № 683 დადგენილების № 1 და 2 დანართები და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 29 ივნისის № 340 დადგენილების № 1 და 2 დანართები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1973 წ. 31 ივლისი, № 469

68 სოფლის მეურნეობაში დამხმარე საწარმოებისა და სარეწების საქმიანობის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში და საკოლმეურნეობათშორისო ორგანიზაციებში დამხმარე საწარმოებისა და სარეწების განვითარებისათვის მიღებული ზომების მეოხებით გაუმჯობესდა სეზონური ჭარბი მუშახელის, მატერიალური და ნედლეული რესურსების გამოყენება სოფლის მეურნეობაში. გააქტიურდა მეურნეობათა საქმიანობა სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამუშავების, ადგილობრივი საშენი მასალებისა და სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისათვის, რაც დადებით გავლენას ახდენს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის განმტკიცებაზე.

მაგრამ რესპუბლიკის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ჯერ კიდევ სუსტად იყენებენ სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამუშავებისა და შენახვის, საშენი მასალებისა და სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების არსებულ შესაძლებლობებს.

დაშვებულია სერიოზული შეცდომები და დამახინჯებანი დამხმარე საწარმოებისა და სარეწების ორგანიზაციასა და საქმიანობაში.

არის შტატის გადამეტებით მუშაკთა შენახვის, მათი არადანიშნულებისამებრ გამოყენების ფაქტები, აგრეთვე საფინანსო დისციპლინის დარღვევის შემთხვევები. კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების და საკოლმეურნეობათშორისო ორგანიზაციების მთელ რიგ დამხმარე მეურნეობებში გამოყოფილ ფონდებს დანიშნულებისამებრ არ იყენებენ.

ირღვევა გარეული ხილისა და კენკრის კრეფის სატარიფო განაკვეთები, ადგილი აქვს აგრეთვე ამ ხილის კრეფისას წამატებათა და ფიქციური დოკუმენტების გაფორმების ფაქტებს.

ბევრ კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობასა და საკოლმეურნეობათშორისო ორგანიზაციაში საკმარისი ყურადღება არ ეთმობა დამხმარე საწარმოთა მუშაობის დაგეგმვას. ხშირად საწარმოო-საფინანსო გეგმებში არ შეაქვთ ამ საწარმოთა მიერ გამოშვებული პროდუქციის მაჩვენებლები, ხოლო თვით დამხმარე საწარმოები და სარეწები ადიდებენ გამოშვებული პროდუქციის დაწესებულ ფასებს, რაც იწვევს წარმოების გეგმის გადაჭარბებით შესრულებისა და საპრემიო გასამრჯელოს ხელოვნურ გადიდებას.

ადგილობრივი საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები სრულიად არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ შრომითი რესურსების გამოყენების საკითხებზე, არ სწვდებიან კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების და საკოლმეურნეობათშორისო ორგანიზაციების დამხმარე საწარმოებისა და სარეწების მუშაობას.

საქართველოს სსრ მთავარმომარაგება და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკა“ საკმარისად არ უჭ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუნველყოფენ სასოფლო დამხმარე მეურნეობებს მოწყობილობით, ტარით, შესაფუთავი და სხვა მასალებით.

სოფლის მეურნეობაში დამხმარე საწარმოებისა და სარეწების მუშაობის გაუმჯობესების მიზნით, „სოფლის მეურნეობაში დამხმარე საწარმოებისა და სარეწების საქმიანობის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 11 მაისის № 321 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონების (ქალაქების) მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს:

ა) უზრუნველყონ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების და საკოლმეურნეობათშორისო ორგანიზაციების დამხმარე საწარმოებისა და სარეწების ორგანიზაციასა და საქმიანობაში იმ ნაკლოვანებათა და დამახინჯებათა აღმოფხვრა, რაც აღნიშნულია ამ დადგენილებაში;

ბ) მიიღონ ზომები, რათა კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში და საკოლმეურნეობათშორისო ორგანიზაციებში შემდგომ განვითარდეს დამხმარე საწარმოები და სარეწები (უმთავრესად სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავებისა და შენახვის, ადგილობრივი ნედლეულისაგან საშენი მასალებისა და სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების დარგში) იმ ვარაუდით, რომ მათ ხელი შეუწყონ შრომითი რესურსების უფრო სრულ და თანაბარზომიერ გამოყენებას წლის განმავლობაში, მეურნეობათა ეკონომიკის განმტკიცებას, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების განვითარებას.

2. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტრომ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონების (ქალაქების) მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა სპეციალურად განიხილონ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების და საკოლმეურნეობათშორისო ორგანიზაციების დამხმარე საწარმოებისა და სარეწების საქმიანობის საკითხი იმ მიზნით, რომ გაუწიონ მათ საჭირო დახმარება ამ მეურნეობათა მუშაობისა და მათდამი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების საქმეში.

3. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურ გაერთიანებას „საქსოფლტექნიკას“ და საქართველოს სსრ მთავარმომარაგებას:

ა) უზრუნველყონ სოფლის მეურნეობაში დამხმარე საწარმოებისა და სარეწების ტექნიკური აღჭურვის დონის ამაღლება, მოწყობილობის დროულად

ეროვნული ბიბლიოთეკა

განახლება, აგრეთვე ამ საწარმოებში დასაქმებულ კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა კვალიფიკაციის ამაღლება;

ბ) გაითვალისწინონ ყოველწლიურ გეგმებში საჭირო მასალების, ნედლეულისა და მოწყობილობის გამოყოფა (პროდუქციის წარმოების გაანგარიშებული ოდენობის მიხედვით) კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების და საკოლმეურნეობათშორისო ორგანიზაციების დამხმარე საწარმოებისა და სარეწებისათვის.

4. დაევალოთ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსა და ცეკავშირის გამგეობას დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და საკოლმეურნეობათშორისო ორგანიზაციების დამხმარე საწარმოებსა და სარეწებს მათ მიერ გამომუშავებული სახალხო მოხმარების საქონლის რეალიზაციის საქმეში.

5. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტრომ შეიმუშაონ წინადადებანი იმის შესახებ, რომ შესაბამისი დამატებანი და რეკომენდაციები იქნეს შეტანილი კოლმეურნეობებში შრომის ანაზღაურებაში იმ წესის მიხედვით, რომელიც დადგენილია საბჭოთა მეურნეობების მუშაკებისათვის, რომლებიც აქტიურად უწყობენ ხელს საგეგმო დავალებათა შესრულებას, და წარმოუდგინონ ისინი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან შესათანხმებლად.

6. მიღებულ იქნეს ცნობად და სახელმძღვანელოდ, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1973 წლის 11 მაისის № 321 დადგენილებით დააწესა, რომ:

ა) კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების და საკოლმეურნეობათშორისო ორგანიზაციების დამხმარე საწარმოებისა და სარეწების მიერ სახალხო მოხმარებისა და საწარმოო დანიშნულების საქონლის დამზადება ფონდირებული მასალებისაგან, აგრეთვე მათთვის კოოპერაციის წესით გადაცემული ნედლეულისაგან მეურნეობებს შეუძლიათ აწარმოონ რაიონული ან საქალაქო საბჭოების აღმასკომების ნებართვით;

ბ) საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების დამხმარე საწარმოებსა და სარეწებში მუშათა შრომის ასანაზღაურებლად წესდება სატარიფო განაკვეთები და მატერიალური წახალისების სისტემა, რომლებიც მოქმედებს ანალოგიურ სამუშაოთა ანაზღაურებისას საბჭოთა მეურნეობებში და რაიონული (საქალაქო) მრეწვკომბინატების შესაბამის წარმოებებში. გამომუშავების ნორმები წესდება კონკრეტული პირობების გათვალისწინებით, საბჭოთა მეურნეობებში და რაიონულ (საქალაქო) მრეწვკომბინატებში მოქმედი გამომუშავების ნორმების მიხედვით;

გ) საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების დამხმარე წარმოებათა ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების შრომა ნაზღაურდება საბჭოთა მეურნეობების განყოფილებების, ფერმების, საწარმოო უბნების შესაბამისი კატეგორიების მუშაკთა თანამდებობრივი სარ-

მუნიციპალური ბიბლიოთეკა

გოების სქემის მიხედვით პროდუქციის წარმოების მოცულობის შესაბამისად. ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა შრომის ანაზღაურების ჯგუფებზე ამ წარმოებათა მიკუთვნების ნაჩვენებლებს განსაზღვრავს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით;

დ) დამხმარე საწარმოთა ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების მატერიალური წახალისება ხორციელდება საბჭოთა მეურნეობების იმ მუშაკთათვის დადგენილი წესის მიხედვით, რომლებიც აქტიურად უწყობენ ხელს საგეგმო დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას;

ე) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 16 სექტემბრის № 856 დადგენილების მე-2 პუნქტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 10 აგვისტოს № 630 დადგენილების 37-ე პუნქტის ნაწილობრივ შესაცვლელად კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების და საკოლმეურნეობათშორისო ორგანიზაციების დამხმარე საწარმოებისა და სარეწების მიერ სამრეწველო საწარმოებთან და სხვა სამეურნეო ორგანიზაციებთან დადებულ ხელშეკრულებათა საფუძველზე დამზადებული საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის ფასები წესდება მხარეთა შეთანხმებით სახელმწიფო საცალო ფასების დონის მიხედვით. იმ შემთხვევებში, როცა ამ საქონლის წარმოება კოლმეურნეობისათვის, საბჭოთა მეურნეობისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოსა და საკოლმეურნეობათშორისო ორგანიზაციისათვის (მოქმედ სახელმწიფო საბითუმო ფასებში) ზარალიანი ან ნაკლებრენტაბელურია, აღნიშნული საქონლის ფასებს აწესებენ ფასწარმოქმნის ორგანოები, ამ საქონლის წარმოების ეკონომიურად დასაბუთებული დანახარჯებისა და 25 პროცენტამდე რენტაბელობის დონის გათვალისწინებით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტის მიერ განსაზღვრული წესით;

ვ) საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების დამხმარე საწარმოებისა და სარეწების სახალხო მოხმარებისა და საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების საქონელი, რომლის წარმოების რენტაბელობა აღემატება 25 პროცენტს, უნდა დაიბეგროს ბრუნვის გადასახადით დადგენილი წესის შესაბამისად;

ზ) საოლქო და სამხარეო საბჭოების აღმასკომების საფინანსო განყოფილებებსა და იმ რესპუბლიკების ფინანსთა სამინისტროებს, სადაც არ არის საოლქო დაყოფა, უფლება აქვთ დააწესონ ბრუნვის გადასახადის განაკვეთები აღნიშნული დამხმარე საწარმოებისა და სარეწების მიერ გამომუშავებულ ახალ საქონელზე, აგრეთვე გაათავისუფლონ შესაბამისი სასოფლო-სამეურნეო ორგანოების წარდგინებით საბჭოთა მეურნეობები და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოები ბრუნვის გადასახადისაგან (ან შეუმცირონ გადასახადის განაკვეთების ოდენობა) დამხმარე საწარმოებისა და სარეწების ყველა იმ ნაკეთობისათვის, რომლებიც მოსახლეობის გადიდებული მოთხოვნით სარგებლობს;

თ) სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაევალა დაამტკიცოს სანიმუშო დებულება კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების და საკოლმეურნეობათშორისო ორგანიზაციების დამხმარე საწარმოებისა და სარეწების შესახებ;

ი) სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს დაევალა დააზუსტოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების იმ საწარმოო ქვედანაყოფების ნუსხა, რომლებიც უნდა მიეკუთვნონ დამხმარე საწარმოებსა და სარეწებს, და დააწესოს შესაბამისი ანგარიშგება მათი პროდუქციის რეალიზაციის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1973 წ. 31 ივლისი, № 470

69 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 13 აპრილის № 252 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ხაზით დახმარების დანიშვნისას მუშათა და მოსამსახურეთა შრომის სტაჟის გამოთვლის წესების დამტკიცების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 13 აპრილის № 252 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

ა) მესამე პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 3 სექტემბრის № 966 დადგენილებისა „სამინისტროებისა და უწყებების გასამხედროებული დაცვის მუშაკებზე სახელმწიფო სოციალური დაზღვევის გავრცელების შესახებ“;

ბ) მეორე პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 4 მარტის № 124 დადგენილებისა „იმ ქალებისათვის საავადმყოფო ფურცლებისა და დახმარების მიცემის შესახებ, რომლებმაც ახალშობილი ბავშვები იშვილეს“.

გ) მეორე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მესამე აბზაცი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 18 სექტემბრის № 513 დადგენილებისა „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაწყებითი კლასების იმ მასწავლებელთა შრო-

ჰითი მოწყობის შესახებ, რომლებიც სკოლებში მუშაობისაგან თავისუფლდებიან იმასთან დაკავშირებით, რომ IV კლასები გადაყვანილი არიან მეცხიერებათა საფუძვლების სისტემატურ სწავლებაზე და დროებით შემცირდა დაწყებითი კლასების მოსწავლეთა რიცხვი".

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 13 აპრილის № 252 დადგენილებით ძალადაკარგულადაა ცნობილი:

ა) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 16 ნოემბრის № 4637 დადგენილება „რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების მშენებლობების პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვის განხილვისა და დამტკიცების წესის შესახებ", რომელიც დაიგზავნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 16 დეკემბრის № 1754 დადგენილებით;

ბ) მეხუთე პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 19 თებერვლის № 517 დადგენილებისა „გადასახლების შეღავათების შესახებ", რომელიც დაიგზავნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 17 მარტის № 383 დადგენილებით;

გ) მეთეოთმეტე პუნქტის მეორე აბზაცი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 6 ნოემბრის № 923 დადგენილებისა „სახალხო მეურნეობაში საბუღალტრო აღრიცხვის ორგანიზაციის სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და კონტროლის განხორციელებაში მისი როლის გაძლიერების ზომების შესახებ" (დაგზავნილი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 13 იანვრის № 30 დადგენილებით) იმ ნაწილში, რომელიც შეეხება სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 28 მაისის № 597 დადგენილების მესამე პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის მოქმედების გავრცელებას;

დ) მეცამეტე პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 3 მაისის № 355 დადგენილებისა „მსუბუქ და კვების მრეწველობაში კაპიტალური მშენებლობის და საწარმოო სიძლავრეთა ამოქმედების გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ" (დაგზავნილი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 2 ივნისის № 824 განკარგულებით) იმ ნაწილში, რომელიც შეეხება მუშაობის უწყვეტი სტაჟის შენარჩუნებას სახელმწიფო სოციალური დაზღვევით დახმარების ან პენსიის მისაღებად;

ე) პირველი პუნქტის მესამე აბზაცი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 27 თებერვლის № 145 დადგენილებისა „მმართველობის აპარატის სრულყოფასა და გაიაფებასთან დაკავშირებით განთავისუფლებულ მუშაკთა შეღავათებისა და უპირატესობის შესახებ", რომელიც დაიგზავნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 4 მარტის № 157 განკარგულებით;

ვ) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 3 სექტემბრის № 726 დადგენილება „სახალხო მეურნეობის დარგების მართვის ორგანიზაციის სრულყოფისათვის ღონისძიებათა განხორციელებასთან დაკავშირებით განთავისუფლებული მუშაკების შეღავათებისა და უპირატესობების შესახებ" (დაიგზავნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 7 სექტემბრის № 785 განკარგულებით), იმ ნაწილში, რომელიც შეეხება სსრ კავშირის მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნისტრთა საბჭოს 1970 წლის 27 თებერვლის № 145 დადგენილების პირველი პუნქტის მესამე აბზაცის მოქმედების გავრცელებას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1973 წ. 8 აგვისტო, № 479

70 გაწეული მომსახურებისათვის მოსახლეობასთან ანგარიშსწორების ბილეთების, ტალონებისა და სხვა ნიშნების დამზადების, აღრიცხვისა და შენახვის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ

„გაწეული მომსახურებისათვის მოსახლეობასთან ანგარიშსწორების ბილეთების, ტალონებისა და სხვა ნიშნების დამზადების, აღრიცხვისა და შენახვის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 12 ივლისის № 486 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს, რომ ყველა ბილეთი, ტალონი, აბონემენტი და სხვა ნიშნები, რომლებიც განკუთვნილია მოსახლეობასთან ანგარიშსწორებისათვის კომუნალური მეურნეობის საწარმოებისა და ტრანსპორტის, თეატრალურ-სანახაობრივი, სპორტული და სხვა ორგანიზაციების მიერ გაწეული მომსახურების გამო, უნდა დაიბეჭდოს იმ ნიმუშების მიხედვით, რომლებიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების მიერ საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, სერიის, ნომინალური ღირებულებისა და ნომრის სავალდებულო მითითებით.

2. დაწესდეს, რომ სასადილოებმა, კაფეებმა, რესტორანებმა და საზოგადოებრივი კვების სხვა საწარმოებმა კერძების გაცემა უნდა აწარმოონ ანგარიშსწორების საკასო ქვითრებით, ანგარიშებით ან აბონემენტებით (ერთჯერადი ტალონებით), რომლებიც ამ საწარმოების მიერ წინასწარ არის რეალიზებული.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით განსაზღვროს სტამბების ნუსხა, რომლებშიც შეიძლება დამზადდეს ბილეთები თეატრების, საკონცერტო დარბაზების, სტადიონებისა და სხვა სანახაობრივი ორგანიზაციებისათვის, ყველა სახის საქალაქო და საქალაქთაშორისო სამგზავრო ტრანსპორტისათვის, აგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეთვე აბონემენტები კვებისათვის, ტალონები და სხვა ნიშნები, რომლებიც განკუთვნილია გაწეული მომსახურების გამო მოსახლეობასთან ანგარიშსწორებისათვის; აეკრძალოს ყველა სხვა სტამბას (საუწყებო სტამბების ჩათვლით) ამ სახის ნიშნების ბეჭდვა და დადგენილ იქნეს მათი აღრიცხვის, შენახვისა და გადატანის წესი. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომმა ყოველწლიურად განსაზღვრონ მოთხოვნილება ამ ნიშნებზე და შესაბამისი განაცხადები წარუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს.

4. დაწესდეს, რომ ზარალი, რომელიც გამოწვეულია ყველა სახის ბილეთების, ტალონების, აბონემენტების (იმ აბონემენტებისა და ტალონების ჩათვლით, რომლებითაც საზოგადოებრივი კვების საწარმოები გასცემენ კერძებს) და სხვა იმ ნიშნების დანაკლისით, რომლებიც განკუთვნილია გაწეული მომსახურების გამო მოსახლეობასთან ანგარიშსწორებისათვის, გამოითვლება დანაკლის ნიშანთა ნომინალური ღირებულების მიხედვით.

მითითებული ბილეთების, ტალონების, აბონემენტების და გაწეული მომსახურების გამო მოსახლეობასთან ანგარიშსწორებისათვის განკუთვნილი სხვა ნიშნების აღრიცხვა საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში უნდა ხდებოდეს იმ წესით, რაც დადგენილია მკაცრი ანგარიშგების ბლანკებისათვის.

5. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა, საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა უზრუნველყონ საქვეუწყებო საზოგადოებრივი კვების, კომუნალური მეურნეობისა და ტრანსპორტის საწარმოებში, თეატრალურ-სანახაობრივ, სპორტულ და სხვა ორგანიზაციებში ბილეთების, აგრეთვე ტალონების, აბონემენტების და გაწეულ მომსახურების გამო მოსახლეობასთან ანგარიშსწორებისათვის განკუთვნილი სხვა ნიშნების დამზადების, აღრიცხვისა და შენახვის გულმოდგინე შემოწმება და აღმოფხვრან ამ საქმეში არსებული დარღვევები.

6. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ გააძლიეროს ბრძოლა სხვადასხვა სიყალბესთან სავაჭრო ბილეთის გამყიდავი და სხვა ავტომატების გამოყენებისას, აგრეთვე გააძლიეროს მუშაობა ბილეთების, ტალონების, აბონემენტებისა და გაწეული მომსახურების გამო მოსახლეობასთან ანგარიშსწორებისათვის განკუთვნილი სხვა ნიშნების დატაცებისა და ამ ნიშნების გამოყენების სხვაგვარ ბოროტმოქმედებათა აღკვეთა.

7. მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესებისა და ადგილობრივ ტრანსპორტზე საბილეთო მეურნეობის მოწესრიგების მიზნით, აგრეთვე ნავაჭრი თანხის უფრო სრულად შეტანის უზრუნველსაყოფად დაევალოს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მოაწყონ სახელმწიფო და კოოპერატიული ვაჭრობის საწარმოებში, „სოიუზპეჩატისა“ და შემნახველი სალაროების ქსელში ხანგრძლივი სარგებლობის სამგზავრო ბილეთების ფართო გაყიდვა, აგრეთვე ქალაქისა და საქალაქთაშორისო სამგზავრო ტრანსპორტის სამგზავრო ბილეთების გაყიდვა, რომლებიც ავტობუსების, ტროლეიბუსებისა და ტრამვაის სალონებში დაყენებული კომპოსტერებით უნდა დაიფაროს;

— ამ ბილეთების გასაყიდად მოწვეულ პირებს გასამრჯელო გადაუხადონ სამგზავრო ბილეთების ღირებულების ორი პროცენტის ოდენობით;

— მიიღონ ზომები ქალაქის ტრანსპორტით მგზავრობისათვის ფულის გადახდის კონტროლის გასაძლიერებლად და უბილეთო მგზავრობისათვის მგზავრთა პასუხისმგებლობის გასაძლიერებლად.

8. საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურმა კანტორამ უზრუნველყონ ბილეთების, ტალონების, აბონემენტების და გაწეული მომსახურების გამო მოსახლეობასთან ანგარიშსწორებისათვის განკუთვნილი სხვა ნიშნების დამზადებისა და აღრიცხვის იმ წესის დაცვის მკაცრი კონტროლი, რომელიც დაწესებულია ამ დადგენილებით, და პასუხისგებაში მისცენ თანამდებობის პირნი, რომლებიც დაუშვებენ ამ წესის დარღვევას.

9. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს ორი თვის ვადაში წარუდგინონ განაცხადები ბილეთის გამყიდავი ავტომატებისა და კომპოსტერების შესაქმნელად კომუნალური მეურნეობისა და ტრანსპორტის საწარმოებისათვის, თეატრალურ-სანახაობრივი, სპორტულ და სხვა ორგანიზაციებისათვის, რათა ეს განაცხადები შემდგომ წარდგენილ იქნან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტში, რომელსაც დავალებული აქვს ზემოაღნიშნული ავტომატებისა და კომპოსტერების შესაქმნელად 1972-1975 წლების სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების საკოორდინაციო გეგმების შემუშავება და დამტკიცება.

მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1973 წლის 12 ივლისის № 486 დადგენილებით დაავალა სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკთან და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან შეთანხმებით, ორი თვის ვადაში შეიმუშაოს და დაამტკიცოს სასადილოებში, კაფეებში, რესტორანებსა და საზოგადოებრივი კვების სხვა საწარმოებში კვების აბონემენტების (ერთჯერადი ტალონების) ერთიანი ფორმა, აგრეთვე მათი დამზადების,

ალრიცხვის, შენახვისა და რეალიზაციის ინსტრუქცია. აბონემენტების (ერთჯერადი ტალონების) ღირებულება უნდა განსაზღვრონ საზოგადოებრივი კვების საწარმოებმა კალკულაციის მიხედვით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1973 წ. 10 აგვისტო, № 484

71 ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე განლაგებული სამინისტროების, უწყებების, წარმოება-დაწესებულებების, ორგანიზაციების, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მუშაობის დაწყების დროის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მოწონებულ იქნეს ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე განლაგებული სამინისტროების, უწყებების, წარმოება-დაწესებულებების, ორგანიზაციების, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების სამუშაო დღის დაწყების განრიგი, შემუშავებული თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ.

2. დაევალოს ქ. თბილისის ტერიტორიაზე განლაგებულ სამინისტროთა, უწყებათა, წარმოება-დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და სასწავლებელთა ხელმძღვანელებს მტკიცედ დაიცვან სამუშაო დღის დაწყების დაწესებული განრიგი და აგრეთვე შესვენების დადგენილი ხანგრძლივობა.

3. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა კონტროლი გაუწიოს და პერიოდულად მოახსენოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამუშაო დღის დაწყების დაწესებული განრიგის შესრულების შესახებ.

4. ეს დადგენილება ძალაში შევიდეს 1973 წლის 1 სექტემბრიდან. ამავე დღიდან ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 25 მარტის № 177 დადგენილება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1973 წ. 10 აგვისტო, № 485

ეროვნული ბიბლიოთეკა

72 გადასახლება-დასახლების შეღავათების შესახებ

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გადასახლებული მოქალაქეებისათვის, აგრეთვე გადასახლებულთა მიმღები კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის შეღავათების მინიჭების წესის მოწესრიგების მიზნით „გადასახლება-დასახლების შეღავათების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 31 მაისის № 364 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დაეგზავნოთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 31 მაისის № 364 დადგენილება „გადასახლება-დასახლების შეღავათების შესახებ“ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად.

2. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტს დაწესებული ოდენობით უზრუნველყონ გადასახლებულთათვის საკარმიდამო ნაკვეთების გამოყოფა ჩასახლების ადგილებში და გაუწიონ მათ ყოველმხრივი დახმარება საეზოე ნაგებობებიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობისა და მათი კეთილმოწყობის საქმეში.

3. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტრომ გამოჰყონ, მოყოლებული 1973 წლიდან, პირველ რიგში გადასახლება-დასახლების მშენებლობისათვის მიზნობრივი დანიშნულებით რესპუბლიკის ფონდების ანგარიშში სტანდარტული სახლები, ხე-ტყის, საშენი და სხვა მასალები იმ ოდენობით, რაც უზრუნველყოფს სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებების, კოლმეურნეობათა სახსრებისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის კრედიტების ხარჯზე განხორციელებული ამ მშენებლობის გეგმის შესრულებას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარმა სამმართველომ უზრუნველყოს გადასახლება-დასახლების მშენებლობისათვის ყოველწლიურად გამოყოფილი სტანდარტული სახლების მიწოდება მომხმარებელთათვის თანაბარწილად კვარტალების მიხედვით. სამასალე მერქნის მიწოდება წლიური ფონდების მიხედვით გადასახლება-დასახლების მშენებლობისათვის განხორციელდეს შესაბამისი წლის 1 ოქტომბრამდე.

4. გადასახლებულთათვის საეზოე ნაგებობებიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა დაევალოს საქართველოს საკოლმეურნეობათშორისო სამშენებლო ორგანიზაციათა რესპუბლიკურ გაერთიანებას — „საქკოლმეურნმშენს“ გადასახლებულთა მიმღებ შესაბამის კოლმეურნეობებთან და საბჭოთა მეურნეობებთან დადებული ხელშეკრულებების მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. საქართველოს სსრ სახმშენმა და „საქსოფლმშენსახპროექტის“ ინსტიტუტმა უზრუნველყონ არა უგვიანეს 1973 წლისა გადასახლებულთათვის საეზოე ნაგებობებიანი საცხოვრებელი სახლების ტიპობრივი პროექტების ყველაზე ეკონომიური ვარიანტების შემუშავება, რომელთა ღირებულება შეესაბამება მათი მშენებლობისათვის გამოყოფილი კრედიტების ოდენობას (4500 მანეთი).

ტიპობრივი პროექტების შემუშავება განხორციელდეს 1973 წლის ტიპობრივი დაპროექტების საერთო გეგმის ანგარიშში.

მასობრივი ჩასახლების რაიონებში მშენებლობის პროექტების შემუშავებისას გაითვალისწინონ ადგილობრივი საშენი მასალებისა და მსხვილპანელიანი და მსხვილბლოკიანი სახლთმშენებლობის ელემენტების ფართოდ გამოყენება.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტრომ, აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების შესაბამისმა აღმასკომებმა უზრუნველყონ მშენებლობაში მონაწილეობისათვის თვით გადასახლებულთა ჩაბმა.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტმა, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭომ და იმ რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა, რომლებსაც აქვთ II ჯგუფის ტყეები, გამოჰყონ გადასახლებულთა ჩასახლების ადგილებში ამ ჯგუფის ტყეებიდან ნაკვეთები გადასახლებულთათვის საცხოვრებელი სახლების და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საზოგადოებრივ ნაგებობათა ასაშენებელი მერქნის დასამზადებლად.

7. გადასახლებულთა გასვლის ადგილების რაიონებისა და ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა გაუწიონ სხვა რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გადასახლებულ ოჯახებს ყოველმხრივი დახმარება ახალ საცხოვრებელ ადგილზე ქონების გადაზიდვასა და პირუტყვის გადაყვანაში, დასატვირთ სადგურებში აღნიშნული ქონების მიტანასა და პირუტყვის მიყვანაში, გადაყვანის გზაზე პირუტყვის ფურაჟით უზრუნველყოფაში.

8. გადასახლებულთა ჩასახლების ადგილების რაიონების (ქალაქების) მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტრომ:

ა) უზრუნველყონ გადასახლებულთათვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობა ჩასახლების ადგილებში მათ ჩასვლამდე, ხოლო გადასახლებულთაგან ახლად შექმნილ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, გარდა ამისა, საბავშვო ბაღების, ბაგების, სკოლების, საავადმყოფოების, კომუნალური მეურნეობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების მშენებლობა, აგრეთვე განახორციელონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დასახლებათა კეთილმოწყობის ღონისძიებანი, ამასთან გაითვალისწინონ შესაბამისი დავალებანი რესპუბლიკის სამინისტროთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და უწყებათა სამშენებლო ორგანიზაციების საიჯარო სამუშაოთა გეგმებში, თუ აღნიშნული მშენებლობა არ შეიძლება მთლიანად განხორციელდეს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ სამეურნეო წესით;

ბ) დააწესონ მკაცრი კონტროლი გადასახლებულთა ჯეროვნად მიღებისადმი, მათი შრომითი მოწყობისადმი და უპირველეს სამეურნეო საჭიროებათა დაკმაყოფილებისადმი;

გ) გამოუყონ საბაზრო ფონდის ხარჯზე სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებს ჩასახლების ადგილებში ახლად ჩასულ გადასახლებულთათვის მისაყიდად ხე-ტყის, საშენი და სხვა მასალები, აგრეთვე ფქვილი (ოჯახის უფროსზე 1,5 ცენტნერის და ოჯახის თითოეულ წევრზე 0,5 ცენტნერის ოდენობით). ფქვილის გაყიდვა აწარმოონ საცალო ფასებში.

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტმა გაგზავნოს ოჯახები შინარესპუბლიკური გადასახლება-დასახლების გეგმების მიხედვით, ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რაიონების (ქალაქების) ფარგლებში გადასახლება-დასახლების ჩათვლით, მხოლოდ მას შემდეგ (არა უგვიანეს ჩასახლების წლის იანვრისა), რაც ჩასახლების შესაბამისი ადგილებიდან მიიღებს ცნობებს, რომ ჟეურნეობანი სავსებით მზად არიან გადასახლებულთა მისაღებად.

10. გადასახლებულთა გადაყვანისა და მათი ქონების გადატანის ორგანიზაციის გაუმჯობესების მიზნით დაევალოთ:

ა) ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს — უზრუნველყოს სამგზავრო ვაგონების დაუბრკოლებლივ გამოყოფა გადასახლებულთა ოჯახების გადასაყვანად, აგრეთვე სატვირთო ვაგონებისა — მათი ქონების ტრანსპორტირებისათვის გასვლის ადგილებიდან დანიშნულების სადგურამდე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის მიერ დამტკიცებული გრაფიკის შესაბამისად, შეღავათიანი ტარიფების გამოყენებით 1 იანვრიდან 1 ივნისამდე პერიოდში;

ბ) საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს — უზრუნველყოს გადასახლებულნი კვების პროდუქტებით ეშელონების შედგენის პუნქტებში და მათი მოძრაობის გზაზე, აგრეთვე ჩართოს ეშელონებში ვაგონ-ფარდულები ან ბუფეტები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის განაცხადების მიხედვით.

11. დაევალოს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ამ დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ძალადაკარგულ გადაწყვეტილებათა ნუსხა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1973 წ. 20 აგვისტო, № 514

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

დადგენილება № 364

1973 წლის 31 მაისი

მოსკოვი, კრემლი

გადასახლება-დასახლების შეღავათების შესახებ

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გადასახლებული მოქალაქეებისათვის, აგრეთვე გადასახლებულთა მიმღები კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის მინიჭებული შეღავათების მოწესრიგების, გადასახლება-დასახლებისათვის ხელშეწყობისა და ჩასახლების ადგილებში გადასახლებულთათვის სამეურნეო მოწყობის მხრივ დახმარების გაწევის მიზნით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დაწესდეს, რომ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გადასახლებულ ოჯახებს სახელმწიფოს ხარჯზე ეძლევათ ერთდროული ფულადი დახმარება № 1 დანართის თანახმად გათვალისწინებული ოდენობით და უნაზღაურდებათ გასვლის ადგილიდან ჩასახლების ადგილამდე მგზავრობის ღირებულება, აგრეთვე ოჯახზე 2 ტონამდე ქონების გადატანისა და იმ ნორმების ფარგლებში პირუტყვის გადაყვანის ღირებულება, რაც დადგენილია კოლმეურნეობის წესდებით საკოლმეურნეო კომლისათვის გადასახლებულთა გასვლის ადგილებში.

2. განთავისუფლდნენ 8 წლის ვადით გადასახლებულთა ჩასახლების ადგილებში:

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გადასახლებული ოჯახები — შესაბამისად სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ან იმ საშემოსავლო გადასახადის გადახდისაგან, რომელიც სოფლის მეურნეობისაგან მიღებული შემოსავლის მიხედვით გამოიანგარიშება;

გადასახლებულთა მიმღები კოლმეურნეობები — საშემოსავლო გადასახადის გადახდისაგან მიღებულ გადასახლებულთა რაოდენობის მიხედვით (დაწყებული ვადებიდან, რომლებიც არ დამდგარა მათი ჩასვლის დროისათვის). გადა-

სახლებულთაგან ახლად შექმნილი კოლმეურნეობები ამ გადასახადის გადახდისაგან თავისუფლდებიან აღნიშნული ვადით მთლიანად.

რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს გადასახლება-დასახლების შეღავათების მინიჭების შედეგად მათ განკარგულებაში დარჩენილი სახსრები შეიტანონ კოლმეურნეობის ფონდში გადასახლებულთა მოსაწყობად.

3. გადასახლებულთა მიმღებმა საბჭოთა მეურნეობებმა:

ა) მისცენ გადასახლებულთა ოჯახებს ჩასახლების წელს ცალკე საცხოვრებელი სახლები ან ბინები, საკარმიდამო ნაკვეთები დაწესებული ოდენობით და ჩასახლებიდან 2 წლის განმავლობაში გაათავისუფლონ გადასახლებულნი ბინის ქირის გადახდისაგან და მისცენ მათ უფასოდ სათბობი და გაუწიონ კომუნალური მომსახურება მოქმედი ნორმების მიხედვით;

ბ) მიჰყიდონ გადასახლებულთა ოჯახებს თვითღირებულების მიხედვით, მაგრამ არა უმეტეს შესასყიდი ფასებისა, ძროხები საბჭოთა მეურნეობის ქირითადი ჯოგიდან, გაუწიონ მათ დახმარება საკვებითა და საძოვრებით პირუტყვის უზრუნველსაყოფად დადგენილი წესით და ჩასახლებიდან 2 წლის განმავლობაში მიჰყიდონ 300 კილოგრამამდე კონცენტრირებული საკვები წელიწადში ოჯახს, რომელსაც პირუტყვი ჰყავს;

გ) შეუნარჩუნონ გადასახლებულ მუშებსა და მოსამსახურეებს განუწყვეტელი შრომის სტაჟი, თუ საბჭოთა მეურნეობაში გადასახლებასთან დაკავშირებით მუშაობის წყვეტილობა არ აღემატება ერთ თვეს, გასვლის ადგილიდან ჩასახლების ადგილამდე მგზავრობის დროის ჩაუთვლელად;

დ) გადასახლებასთან დაკავშირებით საბჭოთა მეურნეობებში მუდმივ სამუშაოზე გადასულ კოლმეურნეობების ყოფილ წევრთა შრომის სტაჟი გამოიანგარიშონ საბჭოთა მეურნეობებად კოლმეურნეობების გარდაქმნისას საბჭოთა მეურნეობებისათვის კოლმეურნეობების მიწებისა და საზოგადოებრივი ქონების გადაცემის წესისა და კოლმეურნეებთან ანგარიშსწორების წესის თაობაზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1957 წლის 3 მაისის № 495 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 პუნქტის შესაბამისად;

ე) ჩაუთვალონ საბჭოთა მეურნეობებში გადასახლებულ ტრაქტორისტ-მემანქანეებს სპეციალობის მიხედვით მათი მუშაობის სტაჟში, რომელიც იძლევა ხელფასის დანამატის მიღების უფლებას, იმ მეურნეობებში ტრაქტორისტ-მემანქანეებად მუშაობის დრო, სადაც ისინი მუშაობდნენ გადასახლებამდე.

რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს მიანიჭონ მათთან ჩასულ გადასახლებულებს ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეღავათები.

4. უფლება მიეცეთ გადასახლებულებს ჩააბარონ გასვლის ადგილებში დამამზადებელ ორგანიზაციებს სახელობითი გადაცვლის ქვითრების მიხედვით პირუტყვი, მარცვლეული და კარტოფილი.

სსრ კავშირის დამზადების სამინისტრომ, სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტრომ, სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრომ, „ცენტროსოიუზმა“ და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა უზრუნველყონ, რომ გადასახლებულებს ჩასახლების ადგილებში მათ მიერ გადაცვლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვითრებისა და გადასახლების ბილეთების წარდგენისას მიეცეთ მათი კუთვნილი რაოდენობის მარცვლეული და კარტოფილი, ხოლო პირუტყვი — არა ნაკლებ იმ ოდენობისა და ნასუქობისა, რაც გადასახლებულებმა ჩააბარეს გამოსვლის ადგილებში.

გადასახლებულთა გასვლის ადგილებში პირუტყვს, მარცვლეულსა და კარტოფილს იღებენ და ჩასახლების ადგილებში გასცემენ დამამზადებელი ორგანიზაციები სსრ კავშირის დამზადების სამინისტროს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსა და „ცენტროსოიუზის“ მიერ დამტკიცებული ინსტრუქციით დადგენილი წესით.

5. ნება დაერთოთ შვებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ გაერთიანებისა, მაგრამ არა უმეტეს 3 წლისათვის, მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც გადასახლდნენ ზღვისპირეთისა და ხაბაროვსკის მხარეების, ამურისა და ჩიტის ოლქების და ყაზახეთის სს რესპუბლიკის სასაზღვრო რაიონების საბჭოთა მეურნეობებში. შვებულებით სარგებლობის ადგილამდე და უკან მგზავრობის ღირებულება 3 წელიწადში ერთხელ ანაზღაურდეს საბჭოთა მეურნეობების სახსრებიდან.

დაწესდეს, რომ მუშაობის სტაჟი, რომელიც იძლევა შვებულებით სარგებლობის ადგილამდე და უკან საბჭოთა მეურნეობის სახსრებით მგზავრობის ანაზღაურების უფლებას, გამოიანგარიშება 1973 წლის 1 იანვრიდან.

რჩევა მიეცეთ აღნიშნული სასაზღვრო რაიონების კოლმეურნეობებს დააწესონ გადასახლებულ კოლმეურნეთათვის შვებულების მიცემის და შვებულებით სარგებლობის ადგილამდე და უკან მგზავრობის ანაზღაურების ანალოგიური წესი.

6. სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკმა აძლიოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს კრედიტები საეზოე ნაგებობებიანი საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად და ძროხების ან სხვა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის შესაძენად გადასახლებულთა ოჯახებისათვის იმ ოდენობითა და სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების, მეურნეობის სახსრებისა და გადასახლებულთა საკუთარი სახსრების ხარჯზე ამ კრედიტების დაფარვის პირობებით, რაც გათვალისწინებულია № 2 და 3 დანართების თანახმად.

სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილმა საბჭოთა მეურნეობებმა ამ კრედიტების თავიანთი წილი დაფარონ სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრებიდან, ხოლო სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაუყვანელმა საბჭოთა მეურნეობებმა — მეურნეობის განმტკიცებისა და გაფართოების ფონდის სახსრებიდან.

რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს გამოიყენონ კრედიტების დასაფარავად კოლმეურნეობის იმ ფონდის სახსრები, რომელიც გათვალისწინებულია გადასახლებულთა მოსაწყობად.

7. ამ დადგენილების შესაბამისად სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის მიერ გაცემული კრედიტები დაიფაროს:

გადასახლებულთათვის საეზოე ნაგებობებიანი საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად — კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სახსრებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ სახლების აშენების შემდეგ, სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით ამ სახლების გადასახლებულთათვის გადაცემის შემდეგ და გადასახლებული ოჯახების სახსრებით — 15 წლის განმავლობაში, დაწყებული მეექვსე წლიდან კრედიტის მიღების შემდეგ;

ძროხების ან სხვა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის შესაძენად — სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სახსრებით გადასახლებულთათვის პირუტყვის გადაცემის შემდეგ და გადასახლებულთა ოჯახების სახსრებით — 5 წლის განმავლობაში, დაწყებული მესამე წლიდან კრედიტის მიღების შემდეგ.

აღნიშნული ქონება გადასახლებულთა პირადი საკუთრება ხდება მას შემდეგ, რაც ისინი დაფარავენ კრედიტის თავიანთ წილს.

იმ შემთხვევაში, თუ გადასახლებულნი უარს იტყვიან შეიძინონ პირად საკუთრებაში მათთვის სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის კრედიტების ხარჯზე აშენებული საეზოე ნაგებობებიანი საცხოვრებელი სახლები, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ეს სახლები უნდა გამოიყენონ უწინარეს ყოვლისა როგორც გადასახლებულთა საბინაო ფონდი, ხოლო ამ მიზნით გაცემული კრედიტები ვადამდე ნაზღაურდება კაპიტალური დაბანდებებისათვის გათვალისწინებული სახსრებიდან.

8. ნება დაერთოს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკს გაუგრძელოს 6 წლამდე ვადით კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს დროებითი ფინანსური სიძნელეების წარმოქმნისას იმ კრედიტების გამო დავალიანების დაფარვის ვადა, რომლებიც მათ მიეცათ საეზოე ნაგებობებიანი საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად და გადასახლებულთათვის აღნიშნული კრედიტების იმ დავალიანების ჩათვლით, პირუტყვის შესაძენად, რომელიც ვადამდე უნდა ანაზღაურდეს ამ დადგენილების მე-7 პუნქტის შესაბამისად.

აღნიშნული ვადის გაგრძელება ხდება საოლქო და სამხარეო საბჭოების აღმასკომების, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების და იმ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების შუამდგომლობით, რომლებსაც არა აქვთ საოლქო დაყოფა.

9. საეზოე ნაგებობებიანი საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად და გადასახლებულთათვის პირუტყვის შესაძენად მიცემული კრედიტებით სარგებლობისათვის გადახდეთ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს წლიურის 0,5 პროცენტი — კრედიტების გაცემის მომენტიდან, ხოლო გადასახლებულებს — მათთვის ამ ქონების გადაცემის მომენტიდან.

10. დაწესდეს, რომ გადასახლებულნი, რომლებიც გადიან კოლმეურნეობებიდან ან ტოვებენ სამუშაოს საბჭოთა მეურნეობაში არასაპატიო მიზეზებით დასახლების დღიდან ხუთი წლის ვადის გასვლამდე, მოვალენი არიან:

ან ჩააბარონ კოლმეურნეობას, საბჭოთა მეურნეობას სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის კრედიტის ხარჯზე აშენებული საეზოე ნაგებობებიანი საცხოვრებელი სახლები და კრედიტის დახმარებით შეძენილი პირუტყვი. ამასთან კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა უბრუნებს გადასახლებულებს კრედიტების გამო დავალიანების დასაფარავად მათ მიერ გადახდილ თანხებს, აგრეთვე გაცე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მული კრედიტის გადამეტებით აღნიშნული სახლების ასაშენებლად დახარჯულ თანხებს, ამ თანხებიდან ნაგებობათა ცვეთის ღირებულების დაქვითვით არა ნაკლებ საამორტიზაციო ანარიცხების ოდენობისა;

ან აუნაზღაურონ კოლმეურნეობას, საბჭოთა მეურნეობას საეზოე ნაგებობებიანი საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად და პირუტყვის შესაძენად სახელმწიფო ბიუჯეტიდან და კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის სახსრებიდან გაწეული ხარჯები.

11. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა გამოჰყონ, მოყოლებული 1973 წლიდან, პირველ რიგში გადასახლება-დასახლების მშენებლობისათვის მიზნობრივი დანიშნულებით რესპუბლიკების ფონდების ანგარიშში სტანდარტული სახლები, ხე-ტყის, საშენი და სხვა მასალები იმ ოდენობით, რაც უზრუნველყოფს სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებების, კოლმეურნეობათა სახსრებისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის კრედიტების ხარჯზე განხორციელებული ამ მშენებლობის გეგმის შესრულებას.

12. სსრ კავშირის სახმომარაგებამ უზრუნველყოს გადასახლება-დასახლების მშენებლობისათვის ყოველწლიურად გამოყოფილი სტანდარტული სახლების მიწოდება თანაბარწილად კვარტალების მიხედვით.

სამასალე მერქნის მიწოდება წლიური ფონდების მიხედვით გადასახლება-დასახლების მშენებლობისათვის განხორციელდეს შესაბამისი წლის 1 ოქტომბრამდე.

13. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა და სსრ კავშირის სახმშენთან არსებულმა სამოქალაქო მშენებლობისა და არქიტექტურის სახელმწიფო კომიტეტმა:

ა) უზრუნველყონ არა უგვიანეს 1973 წლისა გადასახლებულთათვის საეზოე ნაგებობებიანი საცხოვრებელი სახლების ტიპობრივი პროექტების ყველაზე ეკონომიური ვარიანტების შემუშავება, რომლებიც ღირებულების მიხედვით შეესაბამებიან ამ დადგენილების № 2 დანართის თანახმად მათი მშენებლობისათვის გამოყოფილი კრედიტების ოდენობას;

ბ) განახორციელონ ღონისძიებანი გადასახლება-დასახლების მშენებლობის გაიაფებისათვის, ამასთან უზრუნველყონ ადგილობრივი საშენი მასალების უფრო ფართოდ გამოყენება და მშენებლობაში მონაწილეობისათვის თვით გადასახლებულთა ჩაბმა.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა მოაწყონ, მოყოლებული 1973 წლიდან, ასაწყობი კერამზიტ-რკინაბეტონის და მსხვილპანელიანი სახლთმშენებლობის საწარმოებში დეტალების კომპლექტების გამოშვება გადასახლებულთა საცხოვრებელი სახლების მსხვილპანელიანი და მსხვილბლოკიანი მშენებლობისათვის მათი მასობრივი ჩასახლების რაიონებში.

14. სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკმა უზრუნველყოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის მიმდინარე წლის გრძელვადიანი დაკრედიტების გეგმის ანგარიშში კრედიტების მიცემა მშენებლობის მოსამზადებლად და მომავალ წელს ჩასასვლელ გადასახლებულთათვის საეზოე ნაგებობებიანი საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად.

15. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტმა, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასკომებმა:

ა) გამოჰყონ გადასახლებულთა ჩასახლების ადგილებში II და III ჯგუფების ტყეებში ნაკვეთები გადასახლებულთათვის საცხოვრებელი სახლების და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საზოგადოებრივ ნაგებობათა ასაშენებელი მერქნის დასამზადებლად;

ბ) გაათავისუფლონ გადასახლებულნი, აგრეთვე ჩასახლების ადგილების კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც ამზადებენ მერქანს გადასახლება-დასახლების მშენებლობისათვის (გადასახლებულთა საცხოვრებელი სახლებისათვის და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საზოგადოებრივი ნაგებობებისათვის), საძირკვო გადასახადისაგან.

ორგანიზაციები, რომლებიც ამზადებენ მერქანს გადასახლება-დასახლების მშენებლობისათვის, თავისუფლდებიან იმ მერქნის საძირკვო გადასახადისაგან, რომელიც მზადდება აღნიშნული მიზნებისათვის მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასკომების მიერ დამტკიცებული გეგმების შესაბამისად.

16. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, გადასახლებულთა გასვლის ადგილების სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასკომებმა გაუწიონ სხვა რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გადასახლებულ ოჯახებს ყოველმხრივი დახმარება ახალ საცხოვრებელ ადგილზე ქონების გადაზიდვასა და პირუტყვის გადაყვანაში, დასატვირთ სადგურებში აღნიშნული ქონების მიტანასა და პირუტყვის ჩიყვანაში, გადაყვანის გზაზე პირუტყვის ფურაჟით უზრუნველყოფაში.

17. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, გადასახლებულთა ჩასახლების ადგილების სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასკომებმა:

ა) უზრუნველყონ გადასახლებულთათვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობა ჩასახლების ადგილებში მათ ჩასვლამდე, ხოლო გადასახლებულთაგან ახლადშექმნილ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, გარდა ამისა, საბავშვო ბაღების, ბაგების, სკოლების, საავადმყოფოების, კომუნალური მეურნეობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების მშენებლობა, აგრეთვე განახორციელონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დასახლებათა კეთილმოწყობის ღონისძიებანი, ამასთან გაითვალისწინონ შესაბამისი დავალებანი რესპუბლიკის სამინისტროთა და უწყებათა სამშენებლო ორგანიზაციების საიჯარო სამუშაოთა გეგმებში, თუ აღნიშნული მშენებლობა არ შეიძლება მთლიანად განხორციელდეს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ სამეურნეო წესით;

ბ) დააწესონ მკაცრი კონტროლი გადასახლებულთა ჯეროვნად მიღებისადმი, მათი შრომითი მოწყობის უზრუნველყოფისადმი და უპირველეს სამეურნეო საჭიროებათა დაკმაყოფილებისადმი;

გ) გამოუყონ საბაზრო ფონდის ხარჯზე სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებს ჩასახლების ადგილებში ახლად ჩასულ გადასახლებულთათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისაყიდად ხე-ტყის, საშენი და სხვა მასალები, აგრეთვე ფქვილი (ოჯახის უფროსზე 1,5 ცენტნერის და ოჯახის თითოეულ წევრზე 0,5 ცენტნერის ოდენობით). ფქვილის გაყიდვა აწარმოონ ზოლობრივ საცალო ფასებში.

რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭომ და ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭომ პირველ რიგში გამოჰყონ საბაზრო ფონდების ხარჯზე დიუი გამავლობის მსუბუქი ავტომობილები და მძიმე მოტოციკლები ზღვისპირეთისა და ხაბაროვსკის მხარეების, ამურისა და ჩიტის ოლქების და ყაზახეთის სს რესპუბლიკის სასაზღვრო რაიონებში გადასახლებულთათვის მისაყიდად.

18. უფლება მიენიჭოთ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, რომ:

ა) დააწესონ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკთან შეთანხმებით ამ დადგენილების № 1, 2 და 3 დანართებში გაუთვალისწინებელი რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გადასახლებული ოჯახებისათვის ერთდროული ფულადი დახმარებისა და საეზოე ნაგებობებიანი საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად და ძროხების ან სხვა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის შესაძენად საჭირო კრედიტების ოდენობა, აგრეთვე განსაზღვრონ აღნიშნული კრედიტების დაფარვის წყაროები ამ დადგენილებით იმ ოჯახებისათვის დაწესებული შეღავათების ოდენობის მიხედვით, რომლებიც ანალოგიური პირობების მქონე რაიონებში სახლდებიან;

ბ) ნება დართონ მოკავშირე რესპუბლიკის შიგნით უტყეო რაიონებში გადასახლებულ ოჯახებს აანაზღაურონ სახელმწიფოს ხარჯზე რკინიგზის, წყლისა და საავტომობილო ტრანსპორტით ხე-ტყის მასალისა და სახლის ძელურების (ოჯახზე 40 კუბურ მეტრამდე) გადაზიდვის ღირებულება მოქმედი ტარიფების მიხედვით.

ამ პუნქტით გათვალისწინებული შეღავათების მიცემასთან დაკავშირებული ხარჯები გაიღება რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გადასახლება-დასახლების ღონისძიებებისათვის გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში

19. მიეცეთ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, გადასახლებულთა გასვლის ადგილების სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასკომებს უფლება, რომ:

ა) ნება დართონ, რათა ჩასახლების ადგილებში გაემგზავრონ გადასახლებულთა ოჯახების უფროსები ან შრომისუნარიანი წევრები საეზოე ნაგებობებიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობაში და ოჯახის დანარჩენ წევრთა ჩასვლამდე ახალ ადგილზე თავიანთი მეურნეობის მოწყობაში მონაწილეობის მისაღებად. მისცენ აღნიშნულ შემთხვევებში ოჯახების უფროსებს ან შრომისუნარიან წევრებს გასვლის ადგილებიდან გამგზავრებისას დღიურები 1 მანეთის ოდენობით დღე-ღამეში გზაში ყოფნის დროის განმავლობაში და მათი კუთვნილი ფულადი დახმარების 50 პროცენტი, აგრეთვე აანაზღაურონ სახელმწიფოს ხარჯზე გასვლის ადგილიდან ჩასახლების ადგილამდე და უკან მგზავრობის ღირებულება;

ბ) ჩამოაწერონ რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების წარდგენით გადასახლებულებს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის (სოფლის მეურნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობისაგან მიღებული შემოსავლის მიხედვით გადასახდელი საშემოსავლო გადასახადის) ნარჩენები და კოლმეურნეობებს, რომლებიდანაც სახლდებიან კოლმეურნეები (გადასასახლებელი ოჯახების რაოდენობის მიხედვით) — საშემოსავლო გადასახადის ნარჩენები.

20. რჩევა მიეცეთ გადასახლებულთა გასვლის ადგილების კოლმეურნეობებს მთლიანად გაუსწორონ ანგარიში შრომის ანაზღაურების მიხედვით გადასახლებულ კოლმეურნეებს არა უგვიანეს 10 დღისა ჩასახლების ადგილზე მათ გამგზავრებამდე.

21. რჩევა მიეცეთ გადასახლებულთა მიმღებ კოლმეურნეობებს გაუწიონ ხელმოკლე გადასახლებულებს დამატებითი დახმარება მეურნეობის მოწყობაში და საეზოე ნაგებობებიანი საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად და პირუტყვის შესაძენად მიღებული კრედიტების დაფარვაში კოლმეურნეობის იმ ფონდის სახსრებიდან, რომელიც გათვალისწინებულია გადასახლებულთა მოსაწყობად.

ნება დაერთოთ საბჭოთა მეურნეობებს გაუწიონ ასეთივე დახმარება ხელმოკლე გადასახლებულებს სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის ან მეურნეობის განმტკიცებისა და გაფართოების ფონდის სახსრებიდან.

22. რჩევა მიეცეთ ჩასახლების ადგილების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს გაუწიონ გადასახლებულებს საჭირო დახმარება კარტოფილის რგვასა და ბოსტნეული კულტურების თესვაში საკარმიდამო ნაკვეთებზე ამ ნაკვეთების მოხვნის გზით, ხელი შეუწყონ თესლის შეძენაში, მისცენ საჭირო ინვენტარი.

23. დაწესდეს, რომ ამ დადგენილებით გათვალისწინებული შეღავათები ეძლევათ ოჯახებს, რომლებიც ნებაყოფლობით სახლდებიან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული სარესპუბლიკათშორისო გადასახლება-დასახლების გეგმებისა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მიერ დამტკიცებული შინარესპუბლიკური გადასახლება-დასახლების გეგმების შესაბამისად კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, აგრეთვე სამრეწველო საფუძველზე მეცხოველეობის პროდუქტთა წარმოების სახელმწიფო კომპლექსებში, მეფრინველეობის ფაბრიკებში და საცდელ-საწარმოო მეურნეობებში, და ოჯახებს, რომლებიც სახლდებიან კოლმეურნეობებისა და აღნიშნული სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მიწვევით, რომელთაც დაწესებული აქვთ ჩასახლების გეგმები.

ამასთან ოჯახებს, რომლებიც სახლდებიან დამტკიცებული გეგმების შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკის, მხარის, ოლქის ან ადმინისტრაციული რაიონის ფარგლებში, ერთდროული ფულადი დახმარება სახელმწიფოს ხარჯზე ეძლევათ სარესპუბლიკათშორისო და საოლქთაშორისო გადასახლება-დასახლებისას ჩასახლების რაიონისათვის დაწესებული თანხის 50 პროცენტის ოდენობით, ხოლო კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიწვევით გადასახლებულ ოჯახებს — იმ თანხის 75 პროცენტის ოდენობით, რაც დაწესებულია ჩასახლების რაიონისათვის სარესპუბლიკათშორისო და საოლქთაშორისო გადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახლება-დასახლებისას ან შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკის, მხარის, ოლქის, ადმინისტრაციული რაიონის ფარგლებში გადასახლება-დასახლებისას.

24. დაწესდეს, რომ თადარიგში დათხოვნილ ან გადამღგარ უოჯახო სამხედრო მოსამსახურეთა გადასახლებისას მათ სახელმწიფოს ხარჯზე უნაზღაურდებათ გასვლის ადგილიდან ჩასახლების ადგილამდე მგზავრობის ღირებულება და ეძლევათ ერთდროული ფულადი დახმარება იმ ოდენობითა და წესით, რაც გათვალისწინებულია ოჯახის უფროსისათვის ამ დადგენილების № 1 დანართით. ჩასახლების მომენტიდან 2 წლის განმავლობაში ოჯახის შეძენისას აღნიშნულ მოქალაქეებს ეძლევათ ყველა შეღავათი (ოჯახის წევრებზე ერთდროული ფულადი დახმარების გაცემის ჩათვლით), რაც დაწესებულია გადასახლებულთათვის ამ დადგენილებით ჩასახლების ადგილების რაიონების შესაბამისად.

25. დაწესდეს, რომ გადასახლებულთა ოჯახების გაგზავნა ჩასახლების ადგილზე სარესპუბლიკათშორისო და შინარესპუბლიკური გადასახლება-დასახლების გეგმების მიხედვით, მათ შორის გადასახლება ავტონომიური რესპუბლიკის, მხარის, ოლქის, ადმინისტრაციული რაიონის ფარგლებში, შეიძლება მოხდეს მხოლოდ მას შემდეგ (არა უგვიანეს ჩასახლების წლის იანვრისა), რაც შრომითი რესურსების გამოყენების შესაბამისი ორგანოებისაგან მიიღებენ ცნობებს, რომ მეურნეობანი სავსებით მზად არიან გადასახლებულთა მისაღებად.

26. დაწესდეს, რომ მთელი კოლმეურნეობების ან ბრიგადების გადასახლების შემთხვევაში მათ სახელმწიფოს ხარჯზე უნაზღაურდებათ საზოგადოებრივი ქონების, მათ შორის სათესლე და საფურაჟე ფონდების, ხე-ტყის მასალის, სახლებისა და საწარმოო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნაგებობათა ძელურების გადაზიდვის ღირებულება (გასვლის ადგილიდან ჩასახლების ადგილამდე) ამ მიზნით გადასახლება-დასახლების ღონისძიებათა ხარჯთაღრიცხვებში გათვალისწინებულ ასიგნებათა ფარგლებში.

გადასახლებული კოლმეურნეობებისა და ბრიგადების წარმომადგენლებს (თითოს კოლმეურნეობისაგან, ბრიგადისაგან), რომლებიც ჩასახლების ადგილებში მიდიან ადგილმდებარეობის და გადასახლება-დასახლების პირობების გასაცნობად, სახელმწიფოს ხარჯზე უნაზღაურდებათ გასვლის ადგილიდან ჩასახლების ადგილამდე და უკან მგზავრობის ღირებულება.

გადასახლებული კოლმეურნეობებისათვის მიჩენილი მიწები მათი გასვლის ადგილებში დადგენილი წესით გადაეცემათ სხვა კოლმეურნეობებს ან საბჭოთა მეურნეობებს, რომლებიც უნაზღაურებენ გადასახლებულ კოლმეურნეობებს ამ მიწებზე განლაგებული მრავალწლოვანი ნარგავების, ნაგებობებისა და სხვა ქონების ღირებულებას, აგრეთვე მათ გამოუყენებელ დანახარჯებს. ნაგებობებისა და სხვა ქონების ღირებულება ნაზღაურდება მათი საინვენტარო შეფასების მიხედვით, ცვეთის გამოქვითვით.

კოლმეურნეობები, რომლებიდანაც სახლდებიან ბრიგადები, ჩასახლების ადგილების კოლმეურნეობებთან შეთანხმებით გამოჰყოფენ და გადასცემენ ამ უკანასკნელთ გადასახლებულთა წილად კუთვნილ ყველა სახეობის პირუტყვისა და ფრინველის სულადობას, ნატურალურ ფონდებსა და გადასაზიდ ქონებას, ხოლო ფულად ფონდებსა და იმ ქონების ღირებულებას, რომლის გადაზიდვა არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიძლება, გადაურიცხავენ ჩასახლების ადგილების კოლმეურნეობებს ვადებში, რომელთაც აწესებენ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, გასვლის ადგილების სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასკომები შესაბამისი მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან, გადასახლებულთა ჩასახლების ადგილების სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასკომებთან შეთანხმებით.

გადასახლებულ კოლმეურნეობებსა და ბრიგადებს ეძლევათ აგრეთვე ამ დადგენილების მე-4 და მე-19 პუნქტებით დაწესებული შეღავათები.

27. ამ დადგენილებით გათვალისწინებული შეღავათების მიღების უფლების დამადასტურებელ დოკუმენტს წარმოადგენს გადასახლების ბილეთი, რომელსაც იძლევიან შრომითი რესურსების გამოყენების ორგანოები.

28. გადასახლებულთა გადაყვანისა და მათი ქონების გადატანის ორგანიზაციის გაუმჯობესების მიზნით:

ა) გზათა სამინისტრომ უზრუნველყოს სამგზავრო ვაგონების დაუბრკოლებლივ გამოყოფა გადასახლებულთა ოჯახების გადასაყვანად, აგრეთვე სატვირთო ვაგონებისა — მათი ქონების ტრანსპორტირებისათვის გასვლის ადგილებიდან დანიშნულების სადგურამდე მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტების მიერ დამტკიცებული გრაფიკებისა და მათი ადგილობრივი ორგანოების (ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების შრომითი რესურსების გამოყენების სამმართველოებისა და მშრომელთა დეპუტატების სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასკომების შრომითი რესურსების გამოყენების განყოფილებების) განაცხადების შესაბამისად, შეღავათიანი ტარიფების გამოყენებით 1 იანვრიდან 1 ივნისამდე პერიოდში;

ბ) დაეკისროს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს გადასახლებულთა სამედიცინო-სანიტარიული მომსახურება გასვლის ადგილებსა და ჩასახლების ადგილებში, გადასახლებულთა ეშელონების უზრუნველყოფა სამედიცინო პერსონალით გასვლის ადგილიდან დანიშნულების სადგურამდე მგზავრობისას, ხოლო გზათა სამინისტროს მთავარ საექიმო-სანიტარიულ სამმართველოს — გადასახლებულთა სათანადო სამედიცინო-სანიტარიული მომსახურება გასვლის ადგილიდან დანიშნულების სადგურამდე მგზავრობისას;

გ) სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტრომ და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა უზრუნველყონ გადასახლებულნი კვების პროდუქტებით ეშელონების ფორმირების პუნქტებში და მათი მოძრაობის გზაზე, აგრეთვე ჩართონ ეშელონებში ვაგონ-ფარდულები ან ბუფეტები მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტების განაცხადების მიხედვით.

29. გადასახლება-დასახლების ორგანიზაციის ხარჯები და გადასახლება-დასახლებასთან დაკავშირებული საირიგაციო მშენებლობის, ყამირის ათვისების, მიწების გაწყლოვანებისა და დაშრობის, ტყის ამოძირკვისა და მიწების ძირეული გაუმჯობესების სხვა ღონისძიებებისათვის გაწეული დანახარჯები (სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 1

ეროვნული ბიბლიოთეკა

აპრილის № 256 დადგენილებით გათვალისწინებულ სამუშაოთა ნუსხის მეხუ-
დვით) გაღებულ იქნეს სახელმწიფო ბიუჯეტის თანხებიდან დადგენილი წესით
დამტკიცებული გეგმების ფარგლებში.

30. სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ და სსრ კავშირის სახელმწიფო
ბანკმა გამოსცენ 3 თვის ვადაში შესაბამისი ინსტრუქციები გადასახლება-დასა-
ხლების ღონისძიებათა დაფინანსებისა და დაკრედიტების წესის შესახებ.

31. ძალადაკარგულად ჩაითვალოს სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტი-
ლებანი თანდართული ნუსხის თანახმად.

ამ დადგენილების გამოცემამდე გადასახლებული კოლმეურნეობები, ბრი-
გადები და მოქალაქეები, აგრეთვე გადასახლებულთა მიმღები კოლმეურნეობე-
ბი სარგებლობენ შეღავათებით გადასახლების მომენტში მოქმედი წესით, ოდე-
ნობითა და პირობებით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ა. კოსიგინი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. სმირტიუკოვი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
1973 წლის 31 მაისის № 364
დადგენილებით

ნ უ ს ხ ა

სსრ კავშირის მთავრობის ძალადაკარგული გადაწყვეტილებებისა გადასახლება-დასახლების შეღავათების შესახებ

1. სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1933 წლის 14 ოქტომბრის № 2264 დადგენილება „გადასახლებულ კოლმეურნეთა უფასო სარგებლობაში კარმიდამოიანი სახლებისა და საეზოე ნაგებობების დამკვიდრების შესახებ“.

2. სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 17 ნოემბრის № 115/2043 დადგენილება „სასოფლო-სამეურნეო გადასახლება-დასახლების შეღავათების შესახებ“ (სსრ კავშირის კანონთა კრებული, 1937 წ., № 73, მუხ. 352).

3. სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1939 წლის 10 ივლისის № 1009 დადგენილება „სტალინგრადის ოლქიდან ზღვისპირეთისა და ხაბაროვსკის მხარეებში 350 მეთევზე-კოლმეურნის კომლის გადასახლების შესახებ“.

4. სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1939 წლის 26 ივლისის № 1104 დადგენილება „სსრ კავშირის მცირემიწიანი რაიონებიდან მრავალმიწიან რაიონებში გადასახლების წესის შესახებ“ (სსრ კავშირის დადგ. კრებ., 1939 წ., № 45, მუხ. 348).

5. სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1939 წლის 14 სექტემბრის № 1447 დადგენილება „სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული გადასახლება-დასახლების სამმართველოს ორგანიზაციული საკითხების შესახებ“ (სსრ კავშირის კანონთა კრებული, 1939 წ., № 52, მუხ. 444).

6. სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1940 წლის 1 ივნისის № 905 დადგენილება „შორეული აღმოსავლეთის კოლმეურნეობებში გადასახლებულ კომლთა პროდუქტიული პირუტყვით უზრუნველყოფის შესახებ“.

7. სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1940 წლის 10 ივნისის № 999 დადგენილება „უზბეკეთის სსრ გადასახლებულთათვის შეღავათების მიცემის შესახებ“ (სსრ კავშირის დადგ. კრებ. 1940 წ., № 16, მუხ. 391).

8. სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1940 წლის 24 ოქტომბრის № 2104 დადგენილება „მურმანსკის ოლქში მეთევზეობის მეურნეობათა გადასახლების შესახებ.“

9. მე-3, მე-4 პუნქტები, მე-5 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი, მე-10, მე-14, 24-ე პუნქტები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 7 აპრილის № 776 დადგენილებისა „1946 წელს სამხრეთ სახალინის ოლქში კოლმეურნეთა და სხვა მოსახლეობის გადასახლების შესახებ.“

10. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 21 თებერვლის № 440 დადგენილება „ვახშის ველისა და მისი მომიჯნავე ტაჯიკეთის სსრ-ის ზოგიერთი რაიონის კოლმეურნეობებისათვის დახმარების გაწევის ღონისძიებათა შესახებ“

ეროვნული ბიბლიოთეკა

11. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 2 ივნისის № 1894 დადგენილება „1943 წელს სახალინის ოლქში 1700 კოლმეურნის ოჯახის გადასახლების შესახებ“.

12. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 29 სექტემბრის № 14142 განკარგულება.

13. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 16 ივლისის № 11032 განკარგულება.

14. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 24 ივლისის № 3215 დადგენილება „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული გადასახლება-დასახლების მთავარი სამმართველოს შექმნის შესახებ“.

15. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 5 ნოემბრის № 5107 დადგენილება „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული გადასახლება-დასახლების მთავარი სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ“.

16. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 14 ნოემბრის № 5172 დადგენილება „ზღვისპირეთის მხარეში გადასახლებულთა სამეურნეო მოწყობის ღონისძიებათა შესახებ“.

17. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 15 იანვრის № 222 დადგენილება „სახალინის ოლქის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გადასახლებულთა სამეურნეო მოწყობაში ნაკლოვანებათა აღმოფხვრის შესახებ“.

18. მე-2 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 30 იანვრის № 422 დადგენილებისა „1950 წელს სახალინის, კამჩატკის ოლქებში და ზღვისპირეთის მხარეში მეთევზე-კოლმეურნეთა გადასახლების შესახებ“.

19. მე-16 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 22 მარტის № 1170 დადგენილებისა „1949-1952 წლების მანძილზე ტაჯიკეთის სს რესპუბლიკაში მებამბეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 19 მარტის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე“.

20. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 25 ნოემბრის № 4757 დადგენილება „გადასახლებულთათვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

21. მე-5 და მე-17 პუნქტები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 27 იანვრის № 232 დადგენილებისა „ყირიმის ოლქის კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეებისათვის დახმარების გაწევის დამატებით ღონისძიებათა შესახებ“.

22. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 6 აპრილის № 4712 განკარგულება.

23. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 15 მაისის № 7281 განკარგულება.

24. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 27 დეკემბრის № 25004 განკარგულება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

25. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 25 მარტის № 6418-განკარგულება.

26. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 11 სექტემბრის № 23467 განკარგულება.

27. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 5 თებერვლის № 2587 განკარგულება.

28. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 19 თებერვლის № 517 დადგენილება „გადასახლება-დასახლების შეღავათების შესახებ".

29. 21-ე პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 14 აგვისტოს № 2158 დადგენილებისა „ამურის ოლქში წყალდიდობის შედეგების ლიკვიდაციის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ".

30. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 15 მაისის № 918 დადგენილება „იმ მოქალაქეებისათვის დახმარების გაწევის ღონისძიებათა შესახებ, რომლებმაც სურვილი გამოთქვეს გადასახლდნენ ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების რაიონების კოლმეურნეობებში".

31. მე-3 და მე-8 პუნქტები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 26 აპრილის № 807 დადგენილებისა „ხაბაროვსკისა და ზღვისპირეთის მხარეების და სახალინის ოლქის სოფლის მეურნეობისათვის დახმარების გაწევის ღონისძიებათა შესახებ."

32. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 18 ივლისის № 5443 განკარგულება.

33. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 7 ივლისის № 4068 განკარგულება.

34. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 5 სექტემბრის № 5404 განკარგულების მე-3 და მე-4 პუნქტები.

35. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 4 იანვრის № 37 განკარგულება.

36. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 29 მაისის № 1304 განკარგულება.

37. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 13 მარტის № 259 დადგენილება „გადასახლება-დასახლების შეღავათების მოწესრიგების შესახებ" (სსრ კავშირის დადგ. კრებ., 1959 წ., № 5, მუხ. 35).

38. მე-5 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 17 მაისის № 517 დადგენილებისა „ყაზახეთის სს რესპუბლიკაში მეცხვარეობის განვითარების დამატებით ღონისძიებათა შესახებ".

39. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 6 სექტემბრის № 1852 განკარგულება.

40. მე-3 და მე-4 პუნქტები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 16 აპრილის № 314 დადგენილებისა „უზბეკეთის სს რესპუბლიკის იმ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის ფინანსური დახმარების გაწევის შესახებ, რომლებიც ითვისებენ სარწყავ მიწებს ცენტრალურ ფერგანაში".

ეროვნული ბიბლიოთეკა

41. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 14 დეკემბრის № 993 დადგენილება „დაღესტნის ასსრ მთის რაიონებიდან ამ რესპუბლიკის ბარის რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გადასახლებულთათვის შეღავათების მიცემის შესახებ“.

42. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 21 ივლისის № 1467 განკარგულება.

43. მე-12 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 31 იანვრის № 81 დადგენილებისა „ტაჯიკეთის სსრ მთიანი ბადახშანის ავტონომიური ოლქის ეკონომიკის განვითარებისა და მოსახლეობის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ“.

44. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 3 თებერვლის № 93 დადგენილება „ასტრახანის ოლქის სარწყავი მიწათმოქმედების რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გადასახლებული ოჯახებისათვის მისაცემი ერთდროული ფულადი დახმარების ოდენობის შესახებ“.

45. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 15 ნოემბრის № 1045 დადგენილება „გადასახლებულთათვის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის შესაძენად სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის კრედიტების მიცემის შესახებ“.

46. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 22 აპრილის № 260 დადგენილება „ყაზახეთის სსრ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გადასახლება-დასახლების შეღავათების შესახებ“.

47. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 17 მაისის № 346 დადგენილება „ტაჯიკეთის სსრ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გადასახლება-დასახლების შეღავათების შესახებ“.

48. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 27 იანვრის № 78 დადგენილება „ტუვის ასსრ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გადასახლება-დასახლების შეღავათების შესახებ“.

49. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 12 თებერვლის № 338 განკარგულება.

50. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 3 აპრილის № 244 დადგენილება „რუსეთის სფსრ ბურიატეთის ასს რესპუბლიკის, ალტაისა და კრასნოიარსკის მხარეების, ირკუტსკის, კალინინგრადის, კემეროვოს, ნოვოსიბირსკის, ომსკის, ორენბურგის, ტომსკისა და ტიუმენის ოლქების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გადასახლება-დასახლების შეღავათების შესახებ“.

51. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 10 აპრილის № 686 განკარგულება.

52. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 10 სექტემბრის № 757 დადგენილება „გადასახლება-დასახლების შეღავათების მოწესრიგების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 13 მარტის № 259 დადგენილების მოქმედების ვადის 1971-1975 წლებისათვის გაგრძელების შესახებ“ (სსრ კავშირის დადგ. კრებ., 1970 წ., № 17, მუხ. 133).

53. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 6 ოქტომბრის № 2127 განკარგულება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

54. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 29 მარტის № 200 დადგენილება „სარწყავი მიწათმოქმედების რაიონებისა და ზოგიერთი სხვა რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გადასახლებული ოჯახებისათვის საეზოე ნაგებობიანი საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად კრედიტის ოდენობის გადიდების შესახებ“ (სსრ კავშირის დადგ კრებ, 1971 წ., № 7, მუხ. 57), სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 28 ოქტომბრის № 2349 განკარგულებით გათვალისწინებული მისი გავრცელების მოქმედების შენარჩუნებით.

55. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 8 თებერვლის № 267 განკარგულება.

* * *

56. „დამამზადებელი ორგანიზაციების მიერ პირუტყვის, ფრინველის, ბოცვრისა და კვერცხის მიღების, შენახვისა და გაცემის წესის თაობაზე, აგრეთვე ჯიშიანი პირუტყვის, ტყის სანადირო და სხვა გარეული ფრინველის შესყიდვის თაობაზე სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა გაერთიანების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 31 ივლისის № 627 დადგენილების (სსრ კავშირის დადგ. კრებ., 1970 წ., № 14, მუხ. 115) მე-19 პუნქტის მეორე აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„პირუტყვის მიღება გადასახლებულთაგან, რომლებიც გეგმიანი წესით სახლდებიან კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, და მათთვის პირუტყვის მიცემა ჩასახლების ადგილებში ხდება სსრ კავშირის დამზადების სამინისტროს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსა და „ცენტროსოიუზის“ მიერ დამტკიცებული ინსტრუქციით დადგენილი წესით.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
1973 წლის 31 მაისის № 304
დადგენილების დანართი № 1

ᲝᲓᲔᲜᲝᲑᲐ

ერთდროული ფულადი დახმარებისა, რაც ეძლევათ გადასახლებულებს

(მანეთობით)

ჩასახლების რაიონები	ოჯახის უფროსზე	ოჯახის წევრზე
1. კამჩატკის ოლქი	300	80
2. ზღვისპირეთისა და ხაბაროვსკის მხარეები, ამურისა და ჩიტის ოლქები და ყაზახეთის სს რესპუბლიკის შემდეგი რაიონები: აღმოსავლეთ ყაზახეთის ოლქის ზაისანის, მარკაკოლის ტარბაგატაის, ბოლშენარიმსკოესა და კურჩუმის რაიონები, სემიპალატინსკის ოლქის აქსუატის, ურჯარისა და აიაგუზის რაიონები, ტალდი-კურგანის ოლქის ალაყულის, ანდრეევსკის, პანფილოვის, სარყანდის, გვარდეისკის, აქსუსისა და ტალდი-კურგანის რაიონები, ალმა-ათის ოლქის უიგურის, ნარინკოლის, კეგენისა და ჩილიკის რაიონები	200	75
3. ბაშკირეთის ასსრ, ბურიატეთის ასსრ, ტუვის ასსრ, ალტაისა და კრასნოიარსკის მხარეები, ირკუტსკის, კალინინგრადის, კემეროვოს, ნოვოსიბირსკის, ომსკის, ორენბურგის, ტომსკისა და ტიუმენის ოლქები, უზბეკეთის სსრ, ყაზახეთის სსრ (ამ დანართის მე-2 პუნქტში ჩამოთვლილი რაიონების გარდა), ყირგიზეთის სსრ და თურქმენეთის სსრ	150	50
4. უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, საქართველოს სსრ, აზერბაიჯანის სსრ და სომხეთის სსრ, დაღესტნის ასსრ, ასტრახანის, ვოლგოგრადის, ვოლოგდისა და სარატოვის ოლქები . . .	100	35

შენიშვნა: ერთდროული ფულადი დახმარების 50 პროცენტი სახელმწიფოს ხარჯზე გაიცემა გასვლის ადგილიდან გადასახლებულის გამგზავრებისას, ხოლო დანარჩენი 50 პროცენტი — ჩასახლების ადგილის კოლმეურნეობაში ან საბჭოთა ნეურნეობაში გადასახლებულის განუწყვეტელი მუშაობისა და მისი ოჯახის ცხოვრების ერთი წლის შემდეგ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. სმირტიუკოვი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
1973 წლის 31 მაისის № 364
დადგენილების დანართი № 2

ოდენობა

კრედიტისა, რაც ეძლევათ გადასახლებულებს საეზოე ნაგებობებიანი საცხოვ რებელი სახლების ასაშენებლად, და ამ კრედიტის დაფარვის წყაროები

(მანეთობით)

ჩასახლების რაიონები	ოჯახზე სულ	აქედან დაიხარჯება		
		სახელმწიფო ბიუჯეტიდან	მეურნეობის სესხებიდან	გადასახლებულ ოჯახების სახსრებიდან
1. ზღვისპირეთისა და ხაბაროვსკის მხარეები, ამურის, კამჩატკისა და ჩიტის ოლქები და ყაზახეთის სს რესპუბლიკის შემდეგი რაიონები: აღმოსავლეთ ყაზახეთის ოლქის ზაისანის, მარკაკოლის, ტარბაგატაის, ბოლშენარიმსკოესა და კურჩუმის რაიონები, სემიპალატინსკის ოლქის აქსუატის, ურჯარისა და აიაგუზის რაიონები, ტალდი-კურგანის ოლქის ალაყულის, ანდრეევსკის, პანფილოვის, სარყანდის, გვარდეისკის, აქსუსისა და ტალდი-კურგანის რაიონები, ალმა-ათის ოლქის უიგურის, ნარინკოლის, კეგენისა და ჩილიკის რაიონები	6000	2000	2000	2000
2. ბაშკირეთის ასსრ, ბურიატეთის ასსრ და ტუვის ასსრ, ალტაისა და კრასნოიარსკის მხარეები, ირკუტსკის, კალინინგრადის, კემეროვოს, ნოვოსიბირსკის, ომსკის, ორენბურგის, ტომსკისა და ტიუმენის ოლქები, უზბეკეთის სსრ, ყაზახეთის სსრ (ამ დანართის 1-ლ პუნქტში ჩამოთვლილი რაიონების გარდა), ყირგიზეთის სსრ, ტაჯიკეთის სსრ და თურქმენეთის სსრ	5000	1300	1500	2200
3. უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, საქართველოს სსრ, აზერბაიჯანის სსრ და სომხეთის სსრ, დაღესტნის ასსრ, ასტრახანის, ვოლგოგრადის, ვოლოგდისა და სარატოვის ოლქები	4500	1200	1000	2300

შენიშვნა: იმ შემთხვევებში, როცა საეზოე ნაგებობებიანი სახლის ასაშენებლად დაიხარჯება ნაკლები სახსრები, ვიდრე გათვალისწინებულია ამ დანართით, შესაბამისად შემცირდება გადასახლებულთა სახსრებიდან დასაფარავი კრედიტის წილი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. სმირტიუკოვი.**

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
1973 წლის 31 მაისის № 364
დადგენილების დანართი № 3

ᲝᲓᲔᲜᲝᲑᲐ

კრედიტისა, რაც ეძლევათ გადასახლებულებს ძროხებისა და სხვა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის შესაძენად, და ამ კრედიტის დაფარვის წყაროები

(მანეთობით)

ჩასახლების რაიონები	ოჯახზე სულ	აქედან დაიფარება		
		სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან	მეურნეობის სახსრებიდან	გადასახლებული ოჯახების სახსრებიდან
1. ზღვისპირეთისა და ხაბაროვსკის მხარეები, ამურის, კამჩატკისა და ჩიტის ოლქები და ყაზახეთის სს რესპუბლიკის შემდეგი რაიონები: აღმოსავლეთ ყაზახეთის ოლქის ზაისანის, მარკაკოლის, ტარბაგატაის, ბოლშენარიმსკოესა და კურჩუმის რაიონები, სემიპალატინსკის ოლქის აქსუატის, ურჯარისა და აიაგუზის რაიონები, ტალდი-კურგანის ოლქის ალაყულის, ანდრეევსკის, პანფილოვის, სარყანდის, გვარდეისკის, აქსუსისა და ტალდი-კურგანის რაიონები, ალმა-ათის ოლქის უიგურის, ნარინკოლის, კეგენისა და ჩილიკის რაიონები	600	200	200	200
2. ბაშკირეთის ასსრ, ბურიატეთის ასსრ და ტუვის ასსრ, ალტაისა და კრასნოიარსკის მხარეები, ირკუტსკის, კალინინგრადის, კემეროვოს, ნოვოსიბირსკის, ომსკის, ორენბურგის, ტომსკისა და ტიუმენის ოლქები, უზბეკეთის სსრ, ყაზახეთის სსრ (ამ დანართის 1-ლ პუნქტში ჩამოთვლილი რაიონების გარდა), ყირგიზეთის სსრ, ტაჯიკეთის სსრ და თურქმენეთის სსრ	550	—	150	400
3. უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, საქართველოს სსრ, აზერბაიჯანის სსრ და სომხეთის სსრ, დაღესტნის ასსრ, ასტრახანის, ვოლგოგრადის, ვოლოგდისა და სარატოვის ოლქები	500	—	100	400

შენიშვნები: 1. იმ შემთხვევებში, როცა პირუტყვის ღირებულება ნაკლებია, ვიდრე გათვალისწინებულია ამ დანართით, შესაბამისად მცირდება მეურნეობის სახსრებიდან დასაფარავი კრედიტის წილი.

2. ყაზახეთის სსრ აქტიუბინსკის, გურიევისა და ყზილ-ორდის ოლქების ცალკეულ რაიონებში ნებადართულია გაიცეს კრედიტი გადასახლებულთათვის, მათი სურვილით, დედალი აქლემის შესაძენად, ნაცვლად ძროხისა ან სხვა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. სმირტიუკოვი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

73 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაემატოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილებით დამტკიცებულ იმ საწარმოთა და დაწესებულებათა სიას, რომელთა სახლებიდან საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის შესაბამისად დასაშვებია სასამართლო წესით იმ მუშა-მოსამსახურეების გამოსახლება საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად, რომლებმაც შეწყვიტეს შრომითი ურთიერთობა საკუთარი სურვილით, ან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის, ანდა დანაშაულის ჩადენისათვის დათხოვნასთან დაკავშირებით, შემდეგი პუნქტი:

„138. ნავთობის მრეწველობის სამინისტროს ამიერკავკასიის მაგისტრალური ნავთობსადენების სამმართველოს ნავთობგადასატუმბი სადგურების საცხოვრებელი სახლები“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **რ. შანიძე.**

ქ. თბილისი, 1973 წ. 28 აგვისტო, № 528

74 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის საკითხები

ქართული საბჭოთა კინოხელოვნების შემდგომი განვითარების, კინოფილმების იდეურ-მხატვრული დონის ამაღლების, საქართველოს კინემატოგრაფიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ნება დაერთოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტს:

— მოაწყოს ყოველ 2-3 წელიწადში კონკურსები კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ადამიანების დიადი შემოქმედებითი შრომისადმი მიძღვნილი მხატვრული ფილმის საუკეთესო კინოსცენარის შესაქმნელად კინოსტუდია „ქართული ფილმის“ სახსრების ხარჯზე;

— მოაწყოს ორ წელიწადში ერთხელ საკუთარი სახსრების ხარჯზე მხატვრული, მეცნიერულ-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების რესპუბლიკური კინოფესტივალები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტმა შეიმუშაოს საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის მონაწილეობით და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან შეთანხმებით და დაამტკიცოს დებულება კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითი შრომისადმი მიძღვნილი საუკეთესო კინოსცენარის კონკურსის შესახებ და დებულება მხატვრული, მეცნიერულ-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების კინოფესტივალების შესახებ;

— გამოიყენოს კინოსტუდია „ქართული ფილმის" კინომსახიობის სტუდიის შესანახად საერთო-სასტუდიო ფონდები და საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის სახსრები;

— შექმნას ფილმოთეკები კინოსტუდია „ქართულ ფილმში" და საქართველოს მეცნიერულ-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდიაში;

— გაითვალისწინოს გეგმებში საჭირო ასიგნებათა გამოყოფა რესპუბლიკის კინომატიანის შესაქმნელად;

— შექმნას საქართველოს სსრ შავი ზღვის სანაპიროზე მოედანი ნატურული გადაღებებისათვის.

2. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ:

ა) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 25 აპრილის № 744 და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 3 მაისის № 382 განკარგულებების შესაბამისად გამოუყოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტს დამტკიცებული ლიმიტის გადამეტებით არაცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებანი კინოტექნიკისა და მოწყობილობის შესაძენად, რომელიც არ საჭიროებს მონტაჟს, 300 ათასი მანეთის ოდენობით;

ბ) გამოყოს 113 ათასი მანეთი კინოსტუდია „ქართული ფილმის" შენობის კაპიტალური რემონტისათვის.

3. საქართველოს სსრ მთავარმომარაგებამ გამოუყოს 1973 წლის IV კვარტალის დამდეგს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტს 120 ტონა ცემენტი და 32 ათასი კვადრატული მეტრი რუბეროიდი კინოსტუდია „ქართული ფილმის" შენობის კაპიტალური რემონტისათვის.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა გამოუშვას გამომცემლობა „ხელოვნების" ბაზაზე ყოველკვარტალური კინოალმანახი 7 თაბახის მოცულობით.

ალმანახის გამოცემასთან დაკავშირებული ზარალი წელიწადში 12 ათასი მანეთის ოდენობით ანაზღაურდეს ფილმების გამქირავებელი რესპუბლიკური კანტორის საკუთარი სახსრების ხარჯზე.

5. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების 1974 წლის გეგმის შემუშავებისას განიხი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოს საკითხი იმის შესახებ, რომ კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ აშენდეს ფირის დასამუშავებელი ახალი საამქრო „კულტურის“ დარგით გამოყოფილ სახელმწიფო ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა ლიმიტების ფარგლებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **რ. შანიძე.**

ქ. თბილისი, 1973 წ. 31 აგვისტო, № 534

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინდექსი — 7618

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 4 за 1973 год.

გამომცემელი: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

ხელმოწერილია დასაბეჭდად 26/XII-73 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/16.
საბეჭდი თაბახი 4,5 სააღრიცხვო თაბახი 4,5

წლიური ხელმოწერის ფასი 8 მან.

შეკვეთა № 1067 უე 13643 ტირაჟი 1950

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა.
თბილისი, რუსთაველის გამზირი № 8.

64/27

ეროვნული
ბიბლიოთეკა